პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული გაზეთი

1935 იანვრის 12 — საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ექვსდღიური ორგანო — ფასი 50 კაპ. № 2 (94)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინის ბარელიეფი — ი. ნიკოლაძისა

საბჭოთა ყრილობა საბჭოთა ქვეყანაში

მალაქია ტოროშელიძე

საქართველოს საბჭოთა მეშვიდე ყრილობა, როძელიც ა/წ. 10 იანვარს გაიხსნა, დამაგვირგვინებელია სასოფლო, სარაიონო, ავტონომიური ოლქის და რესპუბლიკების საბჭოთა ყრილობებისა და ამავე დროს მოსამზადებელი საფეხური და გამოუყოფელი რგოლია შემდგომი, ამიერ-კავკასიის და საკავშირო მასშტაბის, საბჭოთა ყრილობებისა.

ყველგან ამ ყრილობებზე, საბჭოთა სისტემა ზეიმობს თავის გამარჯვებას ხმელეთის მეექვსედ ნაწილზე, აჯამებს თავის მიღწევებს და ისახავს ახალ ამოცანებს სოციალისტური მშენებლობის შემდგომი გაშლისა და განვითარებისათვის. ყოველი ორგანიზაცია და დაწესებულება აქ მოდის თავისი მოქმედების ანგარიშით და ისმენს თავისი ჩამორჩენა-გარღვევის, დეფექტების და შეცდომების მხილებას. ზეიმს თან ახლავს გაშლილი და მოუფერებელი თვითკრიტიკა.

მთელ ამ მუშაობას ხელმძღვანელობს საკავშირო კომპარტია, რომელიც, როგორც მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის სექცია და მისი მოწინავე რაზმი, ანგარიშს უდგენს მსოფლიო რევოლუციურ პროლეტარიატს სოციალისტური სამშობლოს მდგომარეობის, მის გამარჯვებთა, მისი გაძლიერების შესახებ.

ბრძოლა სოციალიზმისათვის უდიდესი წარმატებით მიმდინარეობს—აი, ურყევი ფაქტი, რომელსაც ადასტურებს საბჭოთა ყრილობა და, რომელსაც ვერ უარყოფს ვერც ერთი მისი მოსისხლე მტერი. ვერ უარყოფს, მაგრამ ეს იმისთვის საბუთი არ არის—იარაღი დაყაროს და შეურიგდეს ამ ახალი ცხოვრების გარდაუვალ კანონს. პირიქით, კლასობრივი მტერი უფრო მეტი გააფთრებით ეკვეთება გაძარჯვებულ სოციალიზმის მუშაკებს, მის ხელმძღვანელთ. ის არავითარ საშუალებას არ თაკილობს, პარტიაშიც კი მოძვრება და გარეგნულად კიდევაც ასრულებს პარტიის დავალებებს, რომ ამით თვალი აუხვიოს სოციალიზმის ენთუზიასტებს და მოხერხებულ დროს მახვილი ჩასცეს პარტიას, გახურებული ტყვია მიუძღვნას პარტიის შტაბს ამხ. კიროვის დაკარგვა მეტად დიდი მსხვერპლია იმ დებულების ნათელსაყოფად, რომ კლასობრივი მტერი მუდამ ჟამს კბილთა ღრჭენით გვითვალთვალებს, რომ საჭიროა რევოლუციური სიფხიზლე მტრის ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრამდე.

ეს საერთო კანონია მთელი საბჭოთა კავშირისათვის და, კერძოდ, საბჭოთა საქართველოსათვის. სოციალიზმის მშენებლობის პროცესები საერთოდ ერთგვარი წესით მიმდინარეობს ყველგან.

ამ პროცესების მეტად თუ ნაკლებად ამსახველია მხატვრული ლიტერატურა, რომლის აქტიური როლი სოციალიზმის მშენებლობის საქმეში მეტად გაძლიერდა უკანასკნელ დროს.

ამხ. სტალინის მიერ მინიჭებული „სულის ინჟენერის“ სახელწოდება მეტად დიდ მოვალეობას აკისრებს საბჭოთა მწერალს, რომელსაც სწადია და ძალა შესწევს ეს საპატიო სახელი ატაროს. დიდ უფლებას დიდი მოვალეობაც ზედ ერთვის. როგორც საბჭოთა მწერლების საკავშირო ყრილობაზე ერთი დელეგატი ამბობდა, საბჭოთა მთავრობამ ყველა უფლება მიანიჭა საბჭოთა მწერალს და წაართვა კი მხოლოდ ერთი უფლება—უფლება ცუდად წერისა. შეიძლება თუ არა გადაუჭარბებლად ვთქვათ, რომ ამ დიდი მოვალეობის შეგნება უკვე დამკვიდრებულია ქართულ საბჭოთა მწერლობაში, თუ მთლიანად არა, მის დიდ უმრავლესობაში მაინც? მიაღწია თუ არა ჩვენმა მხატვრულმა პროდუქციამ იმ სრულქმნილობის დონეს, რომელზედაც დგას ჩვენი მატერიალური სიმდიდრის სოცმშენებლობა? გრძნობს თუ არა ჩვენი მწერალი თავის მოწინავეობის როლს, რომელიც იმაში კი არ მდგომარეობს, რომ პასიურად ასახოს მიმდინარე პროცესები, არამედ განსჭვრიტოს მომავალიც. შეიჭრას გახურებული ბრძოლის შუაგულ ქარცეცხლში, მოწინავე მებრძოლებთან ერთად წინ უძღოდეს მასას, ამაღლებდეს მის სულიერ განწყობილებას და ახალ-ახალ სიძნელეთა გადასალახავად მოუწოდებდეს მას?

თქმა არ უნდა, ჩვენ გვაქვს საგრძნობი მიღწევები, ჩვენს მხატვრულ პროდუქციაში მოიპოვება ისეთი ელემენტები, რომლებიც შეძლებას გვაძლევს დაყენებულ საკითხებზე დადებითი პასუხი მივსცეთ. ეს კარგია, მაგრამ ჯერჯერობით ეს მხოლოდ ელემენტებია, ცალკეული მხარეებია, ეპიზოდებია. საჭიროა უფრო მეტი, უფრო დიდი, უფრო მთლიანი. მოგვცემს თუ არა ამას ჩვენი მწერლობა ახლო მომავალში?

საკვირველი და გაუგებარი ის იქნებოდა, რომ მას ეს ვერ მოეცა. ტალანტების საკმაო რიცხვის მხრივ თითქო არსად გაისმის ბედის სამდურავი. შემოქმედების პირობების მხრივ ვერც ერთი ქვეყანა და ვერც ერთი ისტორიული ეპოქა ვერ შეედრება საბჭოთა ქვეყანას და თანამედროვე ეპოქას. დაულეველია ზეშთაგონების და აღმაფრენის ობიექტი, იქმნება ახალი ადამიანი შესაფერი სიქიკით და სოფლმხედველობით — და ნუთუ ყოველივე ეს საკმაოზე საკმაო არ არის, რომ მძლავრად გაიშალოს უდიდესი შემოქმედებითი მუშაობა ლიტერატურულ ფრონტზე!

ბევრმა ძველმა სიტყვის ოსტატმა, ბურჟუაზიულ პირობებში აღზრდილმა და ბურჟუაზიული სოფლმხედველობით გამსჭვალულმა, მოახერხა, პარტიის დახმარებით, თავი დაეღწია მისთვის ჩვეული შემოქმედების მეთოდებისათვის, შეგნებულად გადმოვიდა საბჭოთა სინამდვილის ნიადაგზე და უკვე მოგვცა ჩვენი დროის ამსახველი პროდუქცია. პროლეტარული მწერლობა თანდათან გამოიბრძმედა და ნაწარმოების მხატვრული ღირსების მხრივ უკვე უთანასწორდება (ზოგჯერ კიდეც წააჭარბებს) ხელოვნების უძველეს ოსტატებს. ამავე დროს ასპარეზზე გამოდიან სრულიად ახალი კადრები, საბჭოთა სინამდვილეში აღზრდილნი, რომელნიც ეუფლებიან მხატვრულ სიტყვას და შესაფერ ადგილს იკავებენ ძველ ოსტატთა გვერდით.

ამხ. ლავრენტი ბერია

მართალია, ზოგჯერ ადგილი აქვს ძველ რეციდივებს. კულაკობის ნამსხვრევები, კაპიტალისტური კლასების ნაშთები კვლავ პოულობენ თავის გამოხატულებას ზოგიერთი მწერლის (როგორც ძველის, ისე ახალგაზრდის) ნაწარმოებში, რასაც სასტიკი ბრძოლა უნდა გაეწიოს. მაგრამ, საერთოდ, დღეს ჩვენი მწერლობის მდგომარეობა ისეთია, რომ მას მოეთხოვება და მან უნდა მოგვცეს უფრო ღირსეული პროდუქცია, უფრო შესაფერი ჩვენი საბჭოთა ქვეყნისა, მთელი სოციალისტური მშენებლობისა.

დღევანდელ საბჭოთა ყრილობაზე ჩვენ შეგვიძლია დაურცხვენელად წარვსდგეთ ჩვენი მხატვრული პროდუქციით მას, უეჭველია, თავისი ადგილი უკავია მთელ სოცმშენებლობაში. მომავალ ყრილობაზე ჩვენ გვმართებს თავმომწონედ წარვსდგეთ „ეპოქის შემქმნელი“, ღირსეულის ნაწარმოებით.

პირველი თვითმფრინავი სვანეთში — ნახ. გიორგი ისაევისა

დღევანდელი დღის თვალი

გალაქტიონ ტაბიძე

დღევანდელი დღის თვალი და ფიქრი უმხურვალესი
გრძნობით და რწმენით
ეს მხედარია, რომელიც მიჰქრის, რომელიც მიჰქრის
ფოლადის ცხენით!

იგი რეკაა ელექტროდენით გავარვარებულ ცეცხლ-
მდინარეზე,
გახმაურება, როს შორეულ ძმებს—ეძახის მიძმე
უწინარესი!

ის ხომ გულია! ხომ უხარია რომ მისი დროშა ალის
ფერია—
იგი ქვევითიდ მსვლელი ჯარია და მოგრიალე
არტილერია.

ის ჩვენი სოფლის არის ამინდი, ჩვენი ქალაქის არის
სვე-ბედი—
რიგს შუაზე ჰკვეთს ვით დინაიმტი და აკავშირებს—
როგორც ცემენტი.

როგორის ამბით დრო მიგვაქანებს! რა საამაყო დღეებს
ვესწრებით!
ცა დაუფარავთ აეროპლანებს და მოედნები ჰქუხს
ორკესტრებით—

ყოველი წამი გულგაშლილობის, ბრძოლების ალში
არის ნალესი
და ამიტომაც: დიად ყრილობას—ჩვენი სალამი
უმხურვალესი!

ამხანაგო დელეგატებო!

დღეს იკრიბებით, საბჭოთა საქართველოს ხელისუფალნო, და ჩვენ, თქვენს ლიტერატორებს, თქვენი მხატვრული სიტყვის ოსტატებს, ისე, როგორც ყველა სფეროების მუშაკებს, გვაქვს მთელი რიგი პრაქტიკული ამოცანები, რომელთაც უთქვენოდ, თქვენი ხელმძღვანელობისა და დახმარების გარეშე ჩვენ ვერ გადავჭრით. ქვემოდ ჩამოთვლილია ზოგიერთი ამ საკითხთაგანი: ჩვენ გვინდა რომ თქვენ ისევე ზრუნავდეთ ამ საქმეებზე თქვენი მრავალმხრივი სახელმწიფოებრივი შემოქმედების პროცესში, როგორც ზრუნავხართ სხვა გადაუდებელ ამოცანებზე.

აი, მაგალითად:

ბიბლიოთეკები
და
ქოხსამკითხველოები ყველგან ვერ არის თავის რიგზე. კიდევ მეტი: ზოგან სამკითხველოში არ არის წარმოდგენილი კლასიკური ქართული



საქართველოს ცაკის თავმჯდომარე
ამხ. ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე

მწერლობა ახალ გამოცემებში და თანამედროვე ახალი ქართული და თარგმნილი ლიტერატურა. მით უფრო უარესია, ქოხსამკითხველოების საქმე. ძალიან ხშირად ამ მეტად სერიოზულ ფრონტს რაიონებში ფორმალურად უდგებიან: ხომ არის ქოხსამკითხველო, მეტი რაღა გვჭირიაო! სამკითხველოებში და ქოხსამკითხველოებში მთავარია მკითხველთან მუშაობა, მათი ინდივიდუალური შესწავლა და უზრუნველყოფა.—ეს კი არ გვაქვს.

გამოცემათა
გავრცელება და კერძოდ მხატვრულ გამოცემათა მასებში შეტანა დაბალ დონეზეა. არ არის მოხმარებული მასიური გავრცელების ფორმები: წიგნის დამტარებლობა (книгоношество), მოძრავი კიოსკის ფორმა, მუდმივი კიოსკები მოზრდილ ცენტრებში და წარმოებებში. ასეთების მოუწყობლობაში დამნაშავეა, ერთის მხრივ, გამომცემლობები (პირველ რიგში სახელგამი), მაგრამ ისინი შეიძლება ადგილობრივი ინიციატივის შედეგადაც შეიქმნან. ასევეა გამოცემების მიწოდების პრობლემა: მართალია ფოსტის ორგანოები ვერ აწვდიან გამოცემებს სწორად და მკითხველთა მასებს გვაშორებენ, მაგრამ ამავე საფოსტო ორგანოების მუშაობის ამ მხარეს რომ მეტი ყურადღება მიექცეს რაიონებში, მაშინ დიდი შეღავათი გვექნება. წინააღმდეგ შემთხვევაში მკითხველი კარგავს გამოწერილ გამოცემათა მიღების იმედს. ჩვენი გაზეთი განსაკუთრებით ებრძვის ამ სენს, მაგრამ დახმარება აუცილებელია.

თეატრები
და
კლუბები საქართველოს დაბა-ქალაქებში იზრდებიან. საჭიროა ქართული ორიგინალური თანამედროვე რეპერტუარის გამაგრება. ამიტომ, თეატრების რეპერტუარის შედგენისას, ხელმძღვანელმა ამხანაგებმა უნდა დაგვეხმარონ ამ მხრივ. რაც შეიძლება მეტი ორიგინალური პიესები!

ქართული
შრიფტის საკითხი დღემდე საბოლოოდ გადაუჭრელია. ის დიდი მუშაობა, რომელიც ამ მხრივ უნდა ჩატარდეს რესპუბლიკურ ცენტრში—ლიტერატურული საზოგადოებრიობის საქმესაც შეადგენს.

რაიონული
გაზეთების გამოცემას გრანდიოზული პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ამ გამოცემაში სწორი ლიტერატურული ქართულის დაცვა და საგამომცემლო კულტურის გაძლიერებაც დიდად მნიშვნელოვანი საკითხია. ამ მხარეს აუცილებლად უნდა მიექცეს მეტი ყურადღება. გაზეთი იდეურად მებრძოლი, ბოლშევიკური და ხალისიანად საკითხავი უნდა იყვეს!

წიგნის
სასახლე შენდება ტფილისში. მისი დროზე დამთავრება მთელი კულტურული საზოგადოებრიობის ინტერეს წარმოადგენს. წიგნის გამოცემა ამ სასახლის დამთავრების შემდეგ, დიდ ინდუსტრიალურ საფუძველზე იწარმოებს. ამიტომ ამ მშენებლობისადმი ყურადღების გამახვილებაა საჭირო.

გარდაქმნის
პროცესშია ჩვენი ქვეყანა. მწერალთა საზოგადოებრიობა დიდის გულისყურით ადევნებს თვალყურს ყოველ ახალ მშენებლობას. მაგრამ



საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ამხ. გ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი

არის ზოგიერთი ცალკე პროცესები, მშენებლობანი და ცვლილებები, რომლებიც გამოგვეპარებიან ხოლმე. მწერლებმა კი ყოველივე ეს უნდა იცოდენ. ჩვენი „ლიტერატურული გაზეთის“ საშუალებით, რაიონის მუშაკებს ვთხოვთ მიაქციონ ჩვენი ყურადღება იმ მოვლენებზე, რომლებიც, მათი თვალსაზრისით, მხატვრული სიტყვის ოსტატის ყურადღებას მოითხოვს. ჩვენ ყოველთვის მზადა ვართ ვემსახუროთ ჩვენ სოციალისტურ სამშობლოს ჩვენი თავისებური მხატვრული იარაღით!

მოძრავი
თეატრი კოლმეურნეთათვის, რესპუბლიკური, სერიოზული მნიშვნელობას,—არ გვაქვს საქართველოში. საკითხი ამის შესახებ კი მომწიფებულია. განა არ გრძნობს რაიონები ასეთი კარგი თეატრის საჭიროებას?!

თეატრალური
თვითშემოქმედება, წრეები, დრამჯგუფები უყურადღებოდ არიან მიტოვებული ბევრ რაიონებში. მათ არ ხელმძღვანელობენ, არ ეხმარებიან. ამ მხრივ არც ქალაქებში და წარმოებებშია საქმე იდეალურად. თვითმოქმედება კი გრანდიოზული მასიური იარაღია, თუ მას სწორად წარვმართავთ. მეტი, ბევრად მეტი ყურადღება ესაჭიროება თვითმოქმედებას.

ბევრი
შენდება ახალი შენობები, მაგრამ არის შემთხვევები, როცა მის მხატვრულ მხარეს არ ექცევა ყურადღება. აქ გადამწყვეტი სიტყვა ხელოვნებას, არქიტექტურას ეკუთვნის. საჭიროა დასახელებული ნაკლის გამოსწორება.

გავშთა
შემოქმედების
ოლიმპიადა მიზნად ისახავს ახალგაზდობაში მხატვრული კულტურის შეტანას. ეს მეტად საინტერესო წამოწყებაა. საჭიროა ამ ოლიმპიადის ადგილებზე გაშლა. ოლიმპიადას ხელმძღვანელობს მწერალთა კავშირის საბავშო ლიტერატურის სექცია და მასალები იბეჭდება „ლიტერატურულ გაზეთში“. კომკავშირი, პიონერ-ორგანიზაციები, განათლების განყოფილებები, სკოლები, რაიონული გაზეთები უნდა ჩაებან ამ ოლიმპიადაში.

ზოთას,
ილიას
და
აკაკის იუბილეები ტარდება ამ წელს. ამ უდიდესი კლასიკოსების შემოქმედება ქართველი მშრომელი ხალხის უფართოეს ფენებში უნდა იქნან ახსნილ-განმარტებული. ყოველგვარი ღონისძიებები ქალაქად და სოფლად ამ მხრივ საბჭოთა მუშაკებმა უნდა ითაონ.

ქალაქებში
ან
რაიონებში ქუჩებისადმი ან უბნებისადმი სახელის მინიჭების დროს, მასებში დიდი მწერლების ხსოვნის უკვდავსაყოფად საჭიროა მათი სახელის და გვარის გამოყენება. ქალაქის გამშვენიერებისას, კლასიკოსების ბიუსტებისა და ძეგლების მოწყობა იქ, სადაც რომელიმე კლასიკოსის სამშობლო, სახლი ან ბინაა, მათი მუზეუმად გადაქცევა—ყოველივე ეს თანამედროვე საბჭოთა კეთილმოწყობის აუცილებელი ელემენტია.

მნიშვნელოვან
სიძველეთა
დაცვა აუცილებლად წარმოადგენს ადგილობრივი მუშაკების კულტურული დონის ერთ-ერთ საზომს. საქართველოს ზოგიერთ პუნქტებში კი ძეგლები ვერ არის დაცულ.

ხალხური
შემოქმედების შეგროვება - გამოქვეყნების საქმე რაიონებში გაშლილია. საჭიროა ამ საქმის გაგრძელება და დაგვირგვინება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა ქვეყნის მებრძოლი მწერლობა

გ ე ს ო ულენტი

ყველა კლასისა და ეპოქის ლიტერატურა პროლეტარული, სოციალისტური მწერლობის გარდა, სინამდვილეს ცალმხრივად, არასრულად ხატავდა. მწერლის საზოგადოებრივი იდეალები, მისი კლასობრივი სოფლმხედველობა ზღუდავდა მხატვრის რეალობასთან მიდგომის ფარგლებს.

გაბატონებული კლასის ლიტერატურა, იბრძოდა რა სინამდვილის არსებული სახით განმტკიცებისათვის, იქცეოდა კონსერვატულ ძალად; იგი ცდილობდა მომხიბლავ და აღმაფრთოვანებელ ფერებში აესახა სინამდვილე, ვერ ამჩნევდა რეალობაში დაძრულ ახალ პროგრესიულ ძალებსა და პროცესებს.

დამარცხებული, ისტორიის ასპარეზიდან მიმავალ კლასის მხატვრული კულტურა, არსებულისადმი ზიზღით გამსჭვალული, საკუთარ გმირობას და პერსპექტივას მოკლებული „საფლავებიდან გამოწვეულ შთაგონებით“ ცოცხლობდა, იდეალიზირებულ წარსულის ფერებიდან ქმნიდა საკუთარ მოჩვენებითი „სინამდვილის“ ილუზიებს. ისტორიის სარბიელზე ახლად გამოსული კლასი, თავისი აღმავლობის „ოპოზიციურ“ პერიოდში ჰქმნიდა მხატვრულ სიმართლის შემცველ მწერლობას, მაგრამ აქაც, ეს „სიმართლე“ შეზღუდული იყო საკუთარი კლასის ბატონობისათვის ბრძოლის სტიქიით, ეს „სიმართლე“ მომენტური, ეპიზოდური იყო და ქრებოდა ისეთი სისწრაფით, როგორითაც მისი მასულდგმულებელი კლასი უახლოვდებოდა სამეურნეო-პოლიტიკური პრივილეგიის მაღლობებს.

მხოლოდ რევოლუციური პროლეტარიატის კლასობრივი მწერლობა იბრძვის სინამდვილის ყოველმხრივი, ნამდვილად ობიექტური, ღრმა და მართალი გამოხატვისათვის. ეს იმიტომ, რომ მუშათა კლასის მიზნები და ამოცანები უშუალოდ გამომდინარეობენ სინამდვილის განვითარების კანონზომიერებიდაან და რეალობის ობიექტური მსვლელობა კი არ ეწინააღმდეგება ჩვენი კლასის იდეალების განხორციელებისაკენ მიმართულ გზებს, არამედ წარმოადგენს ამ უკანასკნელისათვის ერთად-ერთ საყრდენსა და საშუალებას.

ამიტომ რეალობა განსაზღვრავს ჩვენი ლიტერატურის მთელ შინაარსს, რევოლუციურ სინამდვილესთან ორგანიული კავშირი, სოციალიზმის ზრდის პროცესებში უშუალო მონაწილეობა—ჩვენი ლიტერატურული მოძრაობის ძირითადი თავისებურებაა.

„ფოლადის რომანტიკა“ და სოციალისტური რეალიზმი—ეს ორი ერთმანეთისადმი მკაცრად დაპირისპირებული ფორმულა—რელიეფურად გამოხატავს იმ წინააღმდეგობას, რომელიც არსებობს ჩვენი დროის ლიტერატურული მშენებლობის ორ მტრულ სისტემას შორის.

გერმანული ფაშიზმის მხატვრული იდეოლოგიის გამსაზღვრელი ლოზუნგი „ფოლადის რომანტიკა“ ღირსეულად ახასიათებს რეალიზმისადმი ანეაქციის, სინამდვილისგან გაქცევის იმ საერთო ტენდენციას, რომლითაც მოცულია დღეს კაპიტალისტური მსოფლიოს მთელი მხატვრული კულტურა.

სოციალისტური რეალიზმის პრინციპზე განმტკიცებული ჩვენი ლიტერატურული მოძრაობა კი თავის ერთადერთ დანიშნულებად სახავს სინამდვილის ისეთ დაუფლებას, რომელიც არა მარტო რევოლუციურ, გარდამქმნელ გამოხატულებას მიცემს სინამდვილის მთელ მოცულობას, მის ყოველ კუთხესა და მხარეს, არამედ რეალობის შინაგანი კანონზომიერების გახსნით, პერსპექტივის განსხეულებით მოგვცემს მომავლის, კომუნისტური ხვალინდელობის რომანტიულ წინათხილვას. ასეთი გზით მიემართება ჩვენი პოეზია, პროზა, დრამატურგია.

საბჭოების მეთაურობით გაშლილი ბრძოლა და მშენებლობა აძლევს ჩვენს მწერლობას ზრდის სტიმულს, სჭვალავს მას მოზარდი სოციალიზმის იდეებით, ავსებს მის რიგებს სოციალისტური დაზგებიდან და საკოლმეურნეო მინდვრებიდან დაძრული ახალ შემოქმედებითი ძალებით,—ხდის მას მსოფლიოში ყველაზე მოწინავე მძლავრ და პროგრესიულ ლიტერატურულ მოძრაობად.

ასეთ ატმოსფერაში და ამგვარი იდეური მიზანმისწრაფებით მოზარდი მწერლებიც თავის მხრივ ორგანიულად ებმებიან საბჭოთა ქვეყნის ძლევამოსილებისათვის ბრძოლაში. ჩვენი პოეზიის თუ პროზის ყოველი სტრიქონი გამართლებულია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი მწვავედ და გამანადგურებლად ურტყამს დამარცხებული კლასების უკანასკნელ ნაშთებს, რამდენადაც იგი ინტენსიურად ამკვიდრებს მასების შეგნებაში კომუნიზმის საბრძოლო იდეებს, ამხედრებს და აღაფრთოვანებს მასებს ახალი ბრძოლებისათვის, ხელს უწყობს სოციალისტურ შეგნების ფორმაციას, ახალ გემოვნებას, ახალ ურთიერთობის განმტკიცებას. ამის გარეშე არ არსებობს საბჭოთა მწერლობა. მისი მთელი აზრი და შინაარსი საბჭოთა ქვეყნის ძლიერებით, მისი საბრძოლო ამოცანებით საზრდოობს.

და როცა მთელი ჩვენი ქვეყანა პროლეტარული დიქტატურის უზენაესი ორგანოს—საბჭოების წინაშე თავის გამარჯვებათა დემონსტრაციას ახდენს, ზვერავს განვლილი ბრძოლების შედეგებს, რათა ახალი ენთუზიაზმით და სიფხიზლით გადავიდეს მორიგ იერიშებზე სოციალიზმის საბოლოოდ გამარჯვებისათვის,—მწერლობაც ვალდებულია ზუსტად და მთელი სიცხადით გაარკვიოს საანგარიშო პერიოდში განვლილი გზა და გაითვალისწინოს ის ახალი ამოცანები, რომელიც დაისახება მთლიანად მწერლობის და კერძოდ ყოველი საბჭოთა მწერლის წინაშე ჩვენი რევოლუციის განვითარების უახლოეს ეტაპებზე.

იხ წლები, რომლებიც კომუნისტურ პარტიისა და მისი გენიალური ბელადის ამხ. ს ტ ა ლ ი ნ ი ს ხელმძღვანელობით განვლო საბჭოთა ქვეყანამ ყრილობიდან—ყრილობამდე, შეადგენს უმდიდრესსა და უმრავალფეროვანეს ეპოქას სოციალიზმისათვის ბრძოლის ისტორიაში. ამ პერიოდს ეკუთვნის პირველი ხუთწლედის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულების უდიდესი ფაქტი. ამ პერიოდში დაისახა და განხორციელების რეალურ სტადიაში შევიდა უკლასო საზოგადოების აგების გაშლილი პროგრამა—მეორე ხუთწლედის გეგმა—ეკონომიკიდან და ადამიანთა შეგნებიდან კაპიტალიზმის ნაშთების აღმოფხვრის გენერალური ამოცანა. ამ წლებში შედგა საბოლოოდ და გადაჭრით საბჭოთა სოფელი სოციალისტურ რეკონსტრუქციის, საკოლმეურნეო მშენებლობის ფართო გზაზე. ამ ეტაპმა მისცა ჩვენს ქვეყანას სოციალისტური ინდუსტრიის შეუდარებელი გიგანტები, საბოლოოდ შესცვალა ჩვენი ქვეყნის მთელი სახე და გეოგრაფია. საანგარიშო პერიოდმა რადიკალურად აამაღლა მშრომელი მასების საყოფაცხოვრებო მატერიალური დონე და გამოიწვია გიგანტური ძვრები პროლეტარულ და საკოლმეურნეო მასების კულტურულ ცხოვრებაში.

ბუნებრივია, რომ ყოველივე ეს თავის მკაფიო გამოხატულებას პოულობდა ჩვენს ლიტერატურაში.

უკანასკნელმა წლებმა საფუძვლიანად შესცვალეს ძალთა განწყობილებანი ლიტერატურულ ფრონტზე. მთელი მხატვრული ინტელიგენციის ძირითადი ფენების შემჭიდროება პარტიის პოზიციების ირგვლივ, რამაც შესაძლებელი გახადა 23 აპრილის ისტორიული დადგენილება და რამაც თავისი მკაფიო გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა მწერლების საკავშირო ყრილობაზე, პირდაპირ გამოწვეულია საბჭოთა ქვეყნის სამეურნეო-პოლიტიკური ძლიერების ზრდით.

აქედან ყველა ის ცვლილებანი, რომლებიც განიცადა ჩვენმა ლიტერატურამ საერთოდ და კერძოდ საქართველოს საბჭოთა მწერლობამ ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში. სალიტერატურო ორგანიზაციის ფორმებისა და მუშაობის არსებითი გარდაქმნა, საბჭოთა მწერლების მასის გაერთიანება სოციალიზმის მშენებლობის ამოცანების ირგვლივ, ადმინისტრაციულ-ქედმაღლური პრაქტიკის აღმოფხვრა მწერლებთან დამოკიდებულებაში, ჯგუფობრიობის საფუძვლების მოსპობა, საბჭოთა მწერლობის შემოქმედებითი მეთოდის საკითხში ყალბ ანტილენინურ და ვულგარიზატორულ „თეორიების“ უკუგდება—ყოველივე ეს აცხოველებს შემოქმედებითს ინიციატივას, ფართო გასაქანს აძლევს მხატვრულ ინდივიდუალობას, პირველ პლანზე აყენებს მხატვრული მაღალხარისხოვნების პრობლემას.

ვინც თვალყურს ადევნებს ჩვენს სალიტერატურო ცხოვრებას, მისთვის ადვილი გასაგები იქნება ის იდეურ-შემოქმედებითი ძვრები, რომ-



ნახ. თ. აბაკელიასი

ჩემო ქვეყანა!

ვალერიან გაფრინდაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის მუსიკას—წელთა ხელაში შეუნელებელს,
რომელსაც მუდამ გამძაფრებით—ქმნის საბჭოეთი,
მთელ ჩვენს ქვეყანას, თავიდანვე გმირს და მშენებელს,
დღეს კიდევ ერთხელ ესალმება ლექსით პოეტი.
რა უნდა გითხრა მე ისეთი, ჩემო ქვეყანა,
სხვებს რომ არ ეთქვას მეტი ძალით და შთაგონებით.
მსურდა გრძნობები ვით ბავშვები გამომეყვანა
ახლად დაწყვეტილ ყვავილების მცირე კონებით.
კოლექტივებში და ქარხნებში კვლავ იჭედება
ახალი რიტმი—გარმონია ახალ ცხოვრების.
უფსკრულები და მყინვარები დაგვეჭიდება,
მაინც და მაინც ჩვენ ვიქნებით შეუპოვრები.
ჩემო ქვეყანა! ხშირად სახე გაქვს გამურვილი,
მიაპობ წყალს და მაღაროებს—მხნე ჰერკულესი.
როგორც წარსულის ერთ მემკვიდრეს გახრჩობს წყურვილი
იყო მებაღე დედამიწის უერთგულესი.
კიდევ ბევრია სივრცეები გადასალახი.
ცადამწვდენები და მრავალი ყველგან ხარაჩო...
იქ, სადაც იყო ტრამალები, ქვა და ბალახი,
ამართე დიდი ქალაქები შენ სადარაჯოთ.
შენ ხარ ჭაბუკი—ჰაერის და მიწის მკვეთავი,
და შენს პროფილში თვით ლენინის მოჩანს იერი.
ბრინჯაოს გმირო! იქნები და ხარ გამბედავი,
მუდამ მიამტვრევ დაბრკოლებებს მხრებგანიერი.
მიყვარხარ მაშინ, იუდენიჩს რომ იგერიებ,
როცა მოადგა ის პეტროგრადს თეთრი ჯარებით.
და არა ერთხელ ისტორია შეგაკერიებს
სუდარას მტრისთვის, რომ ოცნებობს მკვდარ მირაჟებით.
მიყვარხარ, როცა „ბელომორის“ აგებ ჯებირებს,
და უდაბნოში ლიანდაგი გაგაყავს ტურქსიბით,
ქარი შენს სახელს აღტაცებით გაიზეპირებს
და ისევ ახალ მიღწევებით დაიყურსები.
მიყვარხარ, როცა უპასუხებ სტალინს მჭუხარედ!
—ვასრულებ გეგმას და ვიმარჯვებ შენს თაოსნობით!
კომუნიზმის მზე ხალხთა შორის გამხიარულებს
ბარაქით, შრომით, ხელშესახებ თავის ოცნებით.

6 იანვარი, 1935 წ.

ლებსაც ადგილი აქვს ჩვენს მწერლობაში უკანასკნელი წლების განმავლობაში.

არასოდეს მწერლობაში ადგილი არ ჰქონია ისეთ მრავალფეროვნებას, მხატვრული პოზიციებიs, ლიტერატურული გემოვნების, სტილისტურ მიმდინარეობათა ისეთ სხვადასხვაობას, როგორსაც ვამჩნევთ დღეს. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი მწერლობა სძლევს შტამპისა და პრიმიტიული ერთფეროვნების საშიშროებას და უმდიდრესი სინამდვილის გამომხატველი ლიტერატურა უკვე ახერხებს მრავალხმოვანი და მრავალფეროვანი ხელოვნების სიმაღლეზე ასვლას.

ჩვენი პროზა და პოეზია სწრაფად გადადის კონკრეტული, ცოცხალი სახეების ოსტატობაზე. მწერლობაში ქრება სქემატიზმი და წარსულის იდეალიზაციის ტენდენციები, რომლებიც ასე ჭარბად იყო წარმოდგენილი ჩვენს ლიტერატურაში ამ რამდენიმე წლის წინათ.

სოციალური სიმახვილით გახსნილი და გამახვილებული ისტორია, მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის რევოლუციური წარსული, სოციალისტური სოფლის დამკვიდრების პროცესი და ამასთან დაკავშირებული კოლიზიები, სოციალისტურ დაზგებთან შეზრდილი ახალი ადამიანის ზრდა, მისი საწარმოო პრაქტიკა, მისი პირად ოჯახური ყოფა,—ასეთია ჩვენი ლიტერატურის ძირითადი თემატიკური მაგისტრალი დღეს. და რაც მთავარია, ეს იდეური გაჯანსაღება, თემატიკური აქტუალობის ზრდა მიმდინარეობს შიშველი საპლაკატო მხატვრობის ტრადიციათა დაძლევის შემოქმედებითი პროცესის გართულების, მაღალ მხატვრული კვალიფიკაციისათვის ბრძოლის პირობებში.

ჩვენი პოეტური კულტურა უკვე გასცდა ერთის მხრივ გარდაქმნის პროცესში მყოფ პოეტების—საკუთარ ყოფასთან და ხმასთან ბრძოლის თემატიკას, ხოლო მეორე მხრივ ჩვენი სინამდვილის ზედაპირული ხატვის ტენდენციებს. თანამედროვე ქართული პოეზიის ძირითადი თემა დღეს—სოციალისტური გარემოცვა და ამ გარემოცვაში მებრძოლი ადამიანების განწყობილებაა. განმაზოგადებელი პოეტური სახეები, თხრობითი ჟანრი, ლირიკა, სოციალურად გააზრებული პეიზაჟი დღითი-დღე მკვიდრდება საბჭოთა მხატვრულ პოეზიაში. ახალი ფორმებისათვის ბრძოლა გამოდის თვითმიზნურ-ესთეტიკური ძიების სტადიიდან და უმორჩილდება თემატიკური მასალისა და იდეური მიზანდასაშნულების კარნახს.

ფაქტია, რომ ქართულმა საბჭოთა პოეზიამ დიდი ყურადღება და ინტერესი გამოიწვია საკავშირო ლიტერატურულ საზოგადოებრიობაში, და ეს არა მარტო ქართული ლექსის სპეციფიკური ხმოვანებით, არამედ იდეების და თემატიკური ინვენტარის სიჯანსაღით, პოეტური ხატვის თავისებურად მაღალი კულტურით.

უკანასკნელი წლების განმავლობაში განსაკუთრებით მდიდარი ბელეტრისტული პროდუქცია დაგროვდა. ჩვენი პროზის ძირითადი ხაზი მიემართება სოციალური პროცესების გამომხატველი ტიპიური ადამიანების ჩვენებისაკენ. პროზაში მკვიდრდება მიმზიდველი სიუჟეტური კონსტრუქცია. მშრალი მომთხრობელობა იცვლება მხატვრული აღწერილობის უნარით. მახვილდება ფრაზის ოსტატობა, სიტყვიერი მასალის ორგანიზაციის ხარისხი.

ამ რამდენიმე წლის წინათ, ქართული საბჭოთა თეატრი თითქმის მთლიანად დამყარებული იყო მხოლოდ თარგმნილ და კლასიკურ პიესებზე. დღეს ჩვენი საკმაოდ მდიდარი თეატრალური კულტურა თავის სარეპერტუარო ხაზსს ძირითადად ორგინალური დრამატურგიით განსაზღვრავს. ეს განსაკუთრებით საგულისხმოა საქართველოში, სადაც დრამატურგიას გაცილებით ღარიბი ტრადიციები მოეპოება, ვიდრე პოეზიას ან პროზას.

ამასთანავე, ამ პერიოდში საბჭოთა მწერლობის რიგებში დამკვიდრდა შემოქმედებითი ახალგაზრდობის მთელი თაობა, რომელმაც უკვე მოიტანა ლიტერატურაში საკუთარი ხმა და განწყობილება.

აქ არ შევუდგებით ილუსტრაციებს, არც ჩამოვთლით სახელებს და არ შევჩერდებით ამ წლების მანძილზე დაგროვილი მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი მხატვრული პრაქტიკის კონკრეტულ ანალიზზე.

უდაოა, რომ მთელი ლიტერატურული ფრონტის აღმავლობის ასეთი საერთო სურათი ჩვენ არ გვქონია ჩვენი მწერლობის განვითარების არც ერთ სხვა ეტაპზე.

საქართველოს საბჭოების ყრილობის მუშაობის დღეებში ჩვენ განსაკუთრებით უნდა ავღნიშნოთ ეს გარემოება, რადგან ეს ამდიდრებს და ამრავალფეროვანებს იმ გამარჯვებათა წყებას, რომლებიც შეჯამებული იქნება ყრილობაზე, რადგან ეს შედეგია საბჭოების მეთაურობით წარმოებულ ბრძოლისა სოციალისტურ მშენებლობის ყველა ფრონტებზე.

მაგრამ ყრილობა ამავე დროს ამახვილებს და რაზმავს ჩვენს ყურადღებას ყველა იმ ჩამორჩენილობათა დაძლევის ამოცანის ირგვლივ, რომელიც კი მოგვეპოება ახალი საზოგადოებრივობის მშენებლობის ამა თუ იმ უბანზე.

ჩამორჩენილობა კი, განსაკუთრებით, საგრძნობია ლიტერატურულ ფრონტზე, თუ მის მდგომარეობას განვიხილავთ სოციალიზმის ზრდის ტემპებთან და მასშტაბებთან შედარებით.

რაც უფრო მკვეთრად და მკაფიოდ გვიჩვენებს საბჭოების ყრილობა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სამეურნეო პოლიტიკურ ძლიერებას, მათ უფრო მწვავედ უნდა იგრძნოს ჩვენმა მწერლობამ თანამედროვეობის ამოცანებისაგან ჩამორჩენის საშიშროება და მით უფრო გაძლიეროს მან შემოქმედებითი აქტივობა და სიფხიზლე.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვეობის, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის თითქმის ყველა პროცესი შეიჭრა ჩვენს მხატვრულ მწერლობაში და იქცა მისი იდეურ-თემატიკურ შინაარსის განმსაზღვრელ მომენტად, მაინც არც ერთ მათგანს ჯერ არ უპოვნია ჩვენ ლიტერატურაში შესაფერისად ღრმა და მკვეთრი გამოხატულება.

ჩვენი პოეზია ხმას ვერ უსწორებს ჩვენი ეპოქის დიაპაზონს. იგი ვერ იპყრობს მასებს ისე ფართოდ და ღრმად, როგორც ამას ახერხებდნენ ქართული კლასიკური პოეზიის კორიფეები. ეს კი იმას მოწმობს, რომ ჩვენი პოეტები საკმაოდ ვერ ამახვილებენ საკუთარ პოეტურ იარაღს ჩვენი დღევანდელობის აქტუალური პრობლემებით და, მეორეს მხრივ, ვერ ეუფლებიან პოეტურ მეტყველებაში—სისადავის უმაღლეს ხელოვნებას.

მწერლების თანამედროვეობისაგან ჩამორჩენის შესახებ ლაპარაკიდან ჩვენ უნდა გადავიდეთ ამ ჩამორჩენილობის დაძლევისათვის თანმიმდევრულ ბრძოლაზე. ამ ბრძოლის პირველ პირობას იდეური სიფხიზლე და სიმახვილე წარმოადგენს.

პირველ დეკემბერს ლენინის ქალაქში გასროლილმა ტყვიამ ქვეყანას უჩვენა, თუ როგორი გაცოფებით და გაბოროტებით იბრძვიან კლასობრივი მტრის უკანასკნელი ნამსხვრევები სოციალიზმის ძლევამოსილი წინსვლის შესაფერხებლად.

შეუძლებელია, რომ ეს გაშმაგებული წინააღმდეგობა თავის გამოხატულებას არ პოულობდეს ლიტერატურულ ფრონტზე. მავნებელია ყოველგვარი ილუზია მწერლობაში ამჟამად მოწინააღმდეგე პოზიციების საბოლოო ლიკვიდაციის შესახებ და, მაშასადამე, კლასობრივი ბრძოლის საკითხებზე ყურადღების შენელების შესაძლებლობის შესახებ.

ნაციონალიზმის რეციდივები, კულაკობის დაღუპვის მასალებზე შექმნილი ტრაგიკულ-გმირული სახეები, დღევანდელობისადმი მისტიური მომავალის დაპირისპირება, რეაქციური რომანტიკით შეფერადებული უკმაყოფილება ჩვენი სინამდვილით, ლირიკით შენიღბული მტრული იდეოლოგია პოულობს გამოხატულებას ჩვენი მწერლობის ცალკე ერთეულებში და რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, მის უახალგაზრდეს ფენებშიაც კი.

ამიტომ გვჭირდება მეტი სიფხიზლით და სიმახვილით დავუხვდეთ „ნეიტრალური“ და „უიდეო“ პოეზიის რესტავრაციის ცდებს, განყენებულად დახატულ პეიზაჟებს და დაღუპულ სიყვარულზე ლირიკული „ცრემლთფრქვევის“ ნიღაბს.

იდეური სიმახვილე, სოციალისტურ სინამდვილესთან მეტი ორგანიულობით შეზრდა, ჩვენი დღევანდელობის საბრძოლო პრაქტიკაში უშუალო მონაწილეობა, მაღალი და ღრმა ოსტატობით ბრძოლა ახალი გემოვნებისა, შეგნებისა, და საერთოდ სულიერი ფორმაციისათვის—აი, ის ვალდებულება, რომელსაც აკისრებს მთელ საბჭოთა მწერლობას და კერძოდ ყოველ ნამდვილად საბჭოთა მწერალს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მესვეური—საბჭოების ყრილობა.

ლიტგაზეთი

კოლხიდის პირველ მოსახლეს

პაოლო იაშვილი

ნესტის, ისლის და თქეშის უდაბნოს
და შმორის ნისლში მძინარე ფართობს,
სადაც ფუტკარი არის უთაფლო
ვერ ხარობს წყარო, ვერც ვარდი
ვარდობს;

სადაც წურბელს და დათენთილ უნასს
ცხელ ტბორებში აქვთ ბინა საერთო,
სადაც ყვავილებს ციება ლუნავს,
ბულბულს არა აქვს ეშხი გაერთოს;

ცხენი ვერ აპობს აზელილ ტლაპოს
მდუღარე საპონს ჰგავს ტბორზე ტბორი,
სადაც რიონის ფართო კალაპოტს
დაღრჩობილივით მოჰყვება მორი...

ჩამოაშორეს, ჩამოაცილეს
ეს სასიკვდილო ნისლების ფარდა
და ახლა ხალხი გაინაწილებს
აფერადებულ დაბლობის ფარდაგს.

ვხედავ დასახლდა პირველი გლეხი
და ცას შეჰხარის პირველი კვამლი;
ვხედავ სხივებში შეხიზნულ ხეხილს
ყივილი მესმის კოლხიდის მამლის.

სალამი შენდა, პირველად ვინც რომ
ამოაშენე თბილი აგური,
და დაივიწყე ის ყრუ და ვიწრო
სოფლის ადათი მამაპაპური.

დასტოვე ზემო ოდიშის წყარო
ან რაჭულ კერის თბილი ლადარი,
ახალ კოლხიდის მიწაზე ხარობ
ვით მოქალაქე და ბინადარი!

მზე—რესპუბლიკა გაწვდიან საშველს
შენ კოლოები ველარ დაგლლიან,
ფორთოხლის სუნი უდით შენს ბავშვებს
და შენი ეზო ოქროს ბაღია.

შენ მარტო არ ხარ იცი აშკარად:
აგებენ ჭიშკრებს, ჭიშკრებს ალებენ,
და მოსულები ახალ ლაშქარად
შენს მეზობლობას იტრაბახებენ!

უცხოელები— ჩვენი სამშობლოს მოქალაქენი

ანრი ბარბიუსი

სოციალისტური სამშობლო? იგი გამეფებულია დღეს მსოფლიოს ერთ უდიდეს ნაწილზე, სადაც იქმნება სოციალურ ურთიერთობათა და სოციალურ სტრუქტურათა ახალი წყობა, რომლებმაც წაშალეს ძველი ტრადიციული და მითოლოგიური იდეოლოგია, მთელ დანარჩენ ქვეყანას რომ თავის ნალექით ფარავს. უდიდესმა ძვრებმა გააცამტვერეს და მოსპეს წარსულის აჩრდილები. თქვენი საზღვრების იქით ეს აჩრდილები ჯერ კიდევ არაა: იქ ჯერ ისევ სამწუხარო სიცხადეა, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და ცალკეულ პიროვნებისა თუ ქვეყნების მისწრაფება სხვებზე ბატონობისა და დამონებისაკენ.

ლოზუნგები, რომელთა ცეცხლს თქვენი მასები ანთებენ, ბრწყინავენ თქვენი საზღვრების იქითაც.

პრინციპი ნაციონალიზმისა, დაჟინებული და აგრესიული დაცვა იმისა, რასაც ნაციონალურ ინტერესებს უწოდებენ და გამოხატავენ ბეცი და საბედისწერო ცნებით „სამშობლო“—ესაა ომის და განადგურების მიკრობი, რომელიც მოქმედებს ერთი მუჭა საქმოსანი ადამიანების სასარგებლოდ. ინტერნაციონალიზმი კი ყველას ინტერეს ემსახურება, რადგან იგი ერთ და იმავე დროს ნიშნავს მუშაობას, პროგრესსა და ზავს.

ჩვენ ვნახეთ თუ როგორ ხვდებოდა წითელი არმიის აღლუმს მოსახლეობის გიგანტური მასები; ჩვენ ვნახეთ ის აღტაცება და ენთუზიაზმი, რომლითაც მიესალმებოდენ აღლუმს. ჩვენ გვეზიზღება ჩვენი ქვეყნების შოვინისტები, დაუზოგველად ვებრძვით შეიარაღებასა და სამხედრო ბიუჯეტებს, ჩვენი არმიები მიგვაჩნია ჯოგის მსგავსად ერთ ალაგას შერეკილ ბრბოდ, რომელიც მხოლოდ იძულებით ემსახურება სხვის ინტერესებს. და ამიტომაა, რომ ჩვენ მთელის ჩვენი გრძნობითა და გონებით ვუერთდებით საბჭოთა ამხანაგების მილიონებს.

საბჭოთა არმია არა გავს სხვა არმიებს. იგი წარმოადგენს ეროვნებათა მთლიანი კავშირის დამცველს, კავშირის რომელიც ასახიერებს სოციალიზმს ან, სხვა გვარად რომ ვთქვათ, სიკეთისა და პროგრესის საქმეს.

ამ საქმესთან ჩვენ დაკავშირებული ვართ მთელის ნებისყოფით და გონებით, ჩვენი რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდება. ამ საქმეს ჩვენ ვაყენებთ ყველაფერზე მაღლა.

და მე მინდა გამოვთქვა აზრი, რომელიც ასულდგმულებს ბევრს, იდეურად ახლო მდგომ, მაგრამ მთელ მსოფლიოში გაბნეულ ხალხს და რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ უ პ ი რ ვ ე ლ ე ს ყ ო ვ ლ ი ს ა ჩ ვ ე ნ ვ თ ვ ლ ი თ თ ა ვ ს ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ს ა მ შ ო ბ ლ ო ს მ ო ქ ა ლ ა ქ ე ე ბ ა დ.

ჟან-რიშარ ბლოკ

აილეთ გერმანია. იქაური ახალგაზრდობის განწყობილებებში აშკარად იგრძნობა მოწყენა, შავბნელი უიმედობა, თითქო მათ მძიმე ლოდი აწევს მხრებზეო.

მე შემთხვევით არ შევჩერებულვარ ამაზე. მე მიხდა ამით კიდევ უფრო მკაფიო ხაზი გავუსვა საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობის დიდ პოლიტიკურ როლს. საბჭოთა ახალგაზრდობა—ეს შეგნებული და მტკიცე მოწინავე ადამიანები არიან, ადამიანები, რომელთაც შესწევთ საკუთარი მომავლის შენების უნარი.

საბჭოთა ახალგაზრდობას ერთ და იმავე დროს ახასიათებს სიამაყე და მოკრძალება. როდესაც მას ეკითხები პირად მიღწევებსა და ღირსებებზე, იგი მოკრძალებულია. ასეთ შეკითხვებზე პასუხად იღებ მოკრძალებულ ღიმილს, ოდნავადაც ვერ შეამჩნევ ბაქიაობას და თავის ქებას. მაგრამ იმავე დროს იგი ამაყია, როდესაც მას ეკითხები მიღწევებზე, ქარხანა-გიგანტზე და ქალაქებზე, სადაც მე მომიხდა ყოფნა. აქ იგრძნობა სიამაყე თავისი კოლექტივით, სიამაყე თავისი ქვეყნით. და მართლაც თქვენს ახალგაზრდობას ჭეშმარიტად გააჩნია სიამაყის საგანი.

იქნება თქვენ გეუცხოვოთ ჩემი რამდენიმე შენიშვნა ისეთი დეტალის გამო, როგორიცაა თქვენი ახალგაზრდობის ტანისამოსი. საბჭოთა ქალიშვილების ფერადი და ხალისიანი ჩაცმულობა, საბჭოთა ახალგაზრდა ვაჟკაცების სად სხეულზე მოხდენილად შემოხვეული ტანისამოსი—გამარჯვებულ ახალგაზრდობის სიმბოლოა.

თქვენ სიამაყით უნდა გავსებდეთ თქვენი საკუთარი ძალა, და ეს სიამაყე უნდა გამოსჭვიოდეს როგორც თქვენ გარეგნულ იერში, ისე თქვენი საკუთარ ტანისამოსის, განსაკუთრებულ სტილში.

მინდა დავუმატო, რომ თქვენს ქვეყანაში მეც გავახალგაზრდავდი, მრავალი წელი მომემატა, თქვენმა ქვეყანამ გადამახალისა, მომცა ძალა და სიმხნევე.

აჭარელ ასულს

ვარლამ რუხაძე

თუ გიფრენია ოცნებამ ბურჯებიდან,
გინავარდია აჭარის მთებში;
თუ ია-ვარდით მოგირთავს ... თმები
და გიცეკვია ნაკადთა ხმებზე;
თუ ჩაის ბუჩქი დაგივარცხნია,
ყელთ მოხვევიხარ ნარინჯს,
მანდარინს;
თუ ბროწეული დაგიმარცვლია,
იაგუნდის და ლალის სადარი;
თუ ქობულეთის მზე, ზღვის თვალები
დაგიკოცნია, შლილნი ჩქერებად.
მრწამს, გეყვარება აელვარებით
სილამაზე და მშვენიერება.

○

მაშ, გავყვეთ შარას, სადაც შრიალით
იშლება ტყე და ბიბინებს მოლი;
სადაც ჩანჩქერი მოქუხს ჩხრიალით,
იმსხვრევა ქვებზე სიცოცხლე ბროლი;
სად ყველაფერი უცხო მწველია,
კენჭი, ფოთოლი, მთა თუ ხის რხევა;
სადაც ფიქვები ნისლებს წველიან
და სურნელება ირგვლივ იფრქვევა...

○

დე, შეკავშირდეს ორი სინაზე
და სილამაზე თვით სულის ძვრამდი
და აისახოს ხსოვნის მინაზე:
ბორჯომის ტყე და აჭარის ვარდი,
და მოვიგონოთ: ეს მჟავე წყლები,
ეს ტყე, ეს ბაღი და ეს დარბაზი,
ამ ირმის რქებით და სპილოს
ძვლებით
ვის ეკუთვნოდა, ასე ლამაზი?

○

ან ვინ მოხადა ჩადრი მაგ თვალებს,
დღეს რომ ბუნებას ასე ახარებს?
ჩვენი სალამი იმ უტეხ ძალებს,
ძველს რომ ანგრევს და ახალს
ამყარებს!
აქ არის მხოლოდ განცდათა ფერხა,
ცხოვრების სიბრძნეს რომ მოუცია...
სხვა ყველაფერი გახუნდა... დარჩა:
სილამაზე და რევოლუცია!

1934 წ.

ადათი

დემნა შენგელაია

ზავხულის ღამით, ცას რომ ვარსკვლავი მოწყდება, ისე მოწყდა მთას მგელიკა ჯილიკაური, მოწყდა და, ქარხანაში რომ დაეცა, წამოდგა,—კლდე წაიქცევის, ცა ჩამოინგრევის და მგელიკა ფოცხვერივით ისევ ტორზე იქნების. ცალი ფეხი ქარხანაში უდგას და მეორეც იქვე აქვს მაგრა დაბჯენილი.

მოშვავებულ ლოდივით დაეცა ის ამ ქარხანაში.

ლოდს ჩოხა ეცვა,—გაიხადა და სპეც-ტარავალით შეიმოსა.

ლოდს ფრანგული ერტყა, - აიხადა და ხელში კრონშტეინი დაიჭირა.

ლოდი ნედლი იყო,—პარტიაში შევიდა.

ლოდი უტეხი იყო,—თავი დამკვრელად გამოაცხადა,

ჩააგდეს ბოვში პიტალო ლოდი. აადუღეს. პირველ ხუთწლედში გამოსთალა იგი პარტიამ და აი, ქარხანასთან ერთად გაჩნდა კაცი, გაიზარდა და ახლა სამონტაჟო ამქარში მუშაობს.

■

კაცი კაცით არის და ძმა ხომ კაცჯერ კაცია!

ერთი ძმა ყავდა მგელიკა ჯილიკაურს, ერთაი და ისიც ნოშქელ კაცს შემოაკვდა ხელში უცაბედად.

—სისხლი!—ჰგოდებდა დედა თმაგაშლილი,—სისხლი!—და ალალბედად მოკლულ შვილს გულში იკრავდა.

— დალაი!.. დალაი!..—მოთქვამდენ მეზარენი.

— სისხლი!—ევედრებოდენ მეზობლები,—სისხლი!—ღმუოდენ ისინი.

— დალაი!.. დალაი!..—მოთქვამდენ მეზარენი.

— სისხლი!..—ღაღადებდა დეკანოზი დარისხებულ ლომისის დროშების ჟღარუნში.

— დალაი!.. დალაი!.. მოთქვამდენ მეზარენი.

■

ძმა რომ გაასვენეს, იმ ღამით ძილში მკვლელი გამოცხადდა.

— სისხლ მაღრჩობს!., მომკალ!.. — ღმუოდა ვოჟი, მაგრამ მგელიკა ჯიუტი იყო და თავისნათქვამი. ადათს ფეხი დაადგა, წამურდლა იგი, და ვერავინ სცნობდა ვაჟკაცს რკინის მკვნეტელს. ლომს მარტო შეებმოდა, დათვს კატასავით აკნავლებდა და არავინ იცოდა, რა ბედენა წაეკიდა ვაჟას. გამოსწყვიტა თემი თემობაჩი, ქალაქის ჩიქილა დაიბურა და რაი ერთი გაიწივის, ვერ მოსტეხეს და ყელთამდე შემოსხმულ ძმის სისხლს აღებულ სისხლით არ არეცხდა.

გამწარებულმა დედამ ლექვებს მიუგდო ადათის მოღალატე შვილის გამზრდელი ძუძუ. მეზობლებმა დალეწეს მისი ნახვრეპი ჯამჭურჭელი, თემმა დაწყევლა მურდალი შვილი.

ცეცხლი რომ შემონთებოდა, წყალს არავინ შეასხამდა, ძაღლი რომ მისტევებოდა, კიდევ უფო მიუტევდენ და კაცი ხომ კაცით არის? მგელიკაც კაცი იყო და, კაცობაში რომ აღარ გაირივეს, დატოვა მთა და ბარად დაეშვა.

■

მთაჩი ცა განიერია და ქვეყანა ბატარაი, ქალაქში ქვეყანა განიერია და ცა ბატარაი.

და ახლა დამკვრელი მგელიკა ჯილიკაური ჩაის რომა ჰსომს, ვინ იცის, იქნებ ეს ჩაი მის აწყობილ როლერებზე არის მოჭყლეტილი?

მის ცოლს, იმერლის ქალს თამარას რომ ჭრელა-ჭრულა კაბა აცვია, იქნებ, ისიც იმის ხელით აწყობილ შერერისა და ბრიუგერის მანქანაშია გატარებული?

ეს მანქანები მოდიოდა უცხოეთიდან, ახლა ამ მანქანებს აქ ამზადებენ, მგელიკა ჯილიკაური აწყობს, ამოწმებს და პირიქით იგზავნება უცხო ქვეყნებში.

მისი მანქანები მუშაობენ წითელ მოსკოვში, ორეხოვოში, პავლოვ პასადში, თურქეთში და, ვინ იცის, კიდევ!..

ტრანსმისიები, დაზგები რომ ღუღუნობენ, სტვენენ, შხუიან და ტლაშუნობენ,—მგელიკას ჰგონია, რომ ეს ქარია, ჭიუხებში ატირებული წყალია, კლდეზე გადმოხაფრული.

■

შვიდი წელია—მგელიკამ მთა დასტოვა, შვიდი წელი და გუშინ, რიყეზე რომ მოდიოდა, თავისიანებს წააწყდა, მთიდან ჩამოსულთ.

— გამარჯობა! — მიესალმა მგელიკა დედას, მაგრამ ქალმა ზედაც არ შემოჰხედა ადათის მოღალატე შვილს.

— გამარჯობა, მეზობლებო!..—გაიშვირა ხელები მუდარით და გულით შემოქცეულ ზურგებს ზედ შეასკდა.

— შენ მაინც გამარჯობა..—გაქანდა იგი ძმის მკვლელისაკენ და... იმანაც რომ ზურგი მოუშვირა!

— თოლებ გაამახილეთ, ბეჩავნო, თოლ გაამახილეთ!..—დაიბღავლა მან და გასკდა ლოდი, ლოდს ცრემლი მოადგა.

ასე რომ იყო:

— გამარჯობა, ამხანაგო!—ჩამოართვა ხელი ვიღაცამ.

მგელიკამ უცებ ვერ იცნო ბალღი, მაგრამ, გონს რომ მოვიდა:

— აბაიმე, შენაი კვნესამე!..—ამოხდა მგელიკას.

— ძმავ!... ამოხდა ისევ და სიხარულის ცრემლმორეულმა, ვოჟი რომ მოტორა, მკერდში მაგრა მიიკრა.

მგელიკა რომ მთას მასწყდის, ვოჟი ათის წლის იყო მაშინ.

ლიტგაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვანის წინადადება

პანტელეიმონ ჩხიკვაძე

ფიქრებს თავს ვეღარ ვართმევ. მოთხრობას ვწერ. თვალი ჭადრაკის დაფაზე შეჩერდა. უძველესი სათამაშო ჭადრაკი. ჭადრაკს თავისი სიბრძნე აქვს. ამიტომ მას ყოველ ეპოქაში ჰყავდა მოჭადრაკე ჩემპიონი. ჩემპიონები უთუოდ გამომგონებელნი იყვნენ, ისე როგორც ყოველი დროის სიტყვის უდიდესი ოსტატები.

საჭადრაკო დაფა და ფიგურები უცვლელი იყო. იცვლებოდა ფრონტის განაწესი, შეტევა-თავდაცვის ტაქტიკა და სტრატეგია.

ახალი სიტყვის სათქმელად უცნაური ლექსიკონის გამოგონება ვერაფერს გიშველის, მაგრამ ვერც საჭადრაკო დაფის უცვლელობის პრინციპს ჩაებღაუჭები.

რევოლუციის მონაპოვარს ახალი სიტყვა შეშვენის. ხრტილის მიგნებაა ძნელი. ამიტომ ყამირის გატეხას ბევრი უმნიშვნელოდ ეწირება. ჩვენში ბევრს წერენ რევოლუციურ დღესასწაულებზე. ზოგიერთს უკვე ჩვიდმეტი ლექსი მოუგროვდა ოქტომბრის ზეიმზე. ოქტომბრის სიდიადე მაინც არ იგრძნობა ამ ლექსებში.

გაცვეთილი საჭადრაკო ფორმულებით წინა ეპოქის ჩემპიონს, ჩემპიონობას ვერ ჩამოართმევ. დერჟავინი ოდებს წერდა ხემწიფე-იმპერატორის დაბადების ან სახლობის დღის აღსანიშნავად. მისამართის შეცვლა ნაწარმოების ხასიათს როდი გამოცვლის.

რაღაც ახალია საჭირო.

ფიქრები კიდევ უფრო რთულად იხლართებიან. მოთხრობა კი უთუოდ უნდა დაიწეროს.

გასულ წელსაც ასე ვიყავი. განზრახვა მქონდა პარტიის ყრილობის გამო რაღაც დამეწერა. შეძლებულობის კითხვამ მიშველა (ეს თემა დღეს კიდევ უფრო აქტუალურია). ჩემი მკითხველები უკვე იცნობენ „ყოფილ ღარიბს" ამბაკო კოპლატაძეს. სწორედ ამ ერთი წლის წინად დაიძახა მან გაბედულად: „შაბაშ, სიღარიბევ! ამბაკო კოპლატაძე შეძლებულების თექია ამიერიდანო". ვნახოთ, რა გააკეთა ამბაკომ ამ ერთი წლის განმავლობაში.

■

მოზრდილი აივნიდან სოფელს დავყურებთ. მასპინძელი მხიარულ გუნებაზეა. საუბარი ახალ-ახალ კითხვებზე გადააქვს, ხუმრობს, ენამახვილობს. არდადეგებზე შინ ჩამოსულ შვილებს ეყაშმიერება. რუსულ ლაპარაკს უწუნებს, ღვინოს ასხამს და პირველად დიასახლისის, კესარიას, სადღეგრძელოს სვამს. თავი მოსწონს, რომ ხელმომთბარი ოჯახის პატრონია ამბაკო კოპლატაძე.

როგორ გამოიცვლება თურმე ადამიანი: გარეგნულობით, ხასიათითაც. ამ რამდენიმე წლის წინად ამბაკოს ოჯახში თვალს ხვდებოდა: სიღარიბე, გლეხური ეჭვი, გულგრილობა, უიმედობა. ცხოვრების რთულსა და დანასკვულ ძაფებს თავს ვეღარ უყრიდა თავგზააბნეული ამბაკო. ტანფეხჩამოგლეჯილი კითხვის ნიშანივით დაბორიალობდა პარტახ ეზოში. იხრავდა, იწყევლებოდა, იგინებოდა კიდეც. დასდევდა კუდში ერთ ჯახრიკა ცხენს. მაისეულ სამ ქცევა მიწას ამომავალ მზესავით შეხაროდა. ამაყობდა კოლექტივში რომ არ შევიდა, კოთხოგამორეკილ მეზობლებს მამასისხლად შეძენილი ქონება რომ არ გაუზიარა.

მოწყენილობა მაინც არ ასვენებდა კოპლატაძეს. ამბაკო ხელს უწყობდა თავისთავის გაღატაკებასა და ოჯახის განიავებას. ღატაკი მეზობლები კი ხელს ითბობდენ კოლექტივებში... შეძლებულობისკენ მიისწრაფოდენ.

ამბაკო მაინც ჯიუტობდა. „კოზირის" იმედი არ ჰქონდა. უბრალო ქაღალდს არ ენდობოდა.

ბელადის ლოზუნგმა გამოაფხიზლა ამბაკო. „კოლმეურნეები შეძლებულები უნდა გახდნო".

—აი ნამდვილი კოზირი.

ამბაკომ შეაფურთხა მერყეობას, უნდობლობას, მოგონილ სიზარმაცეს და თავისი ჯახრიკა ცხენით თავი ამოჰყო კოლექტივში.

შარშან ამ დროს, სახლის საძირკველი გასკვნა ამბაკომ. ეზოში კალოშების კვალი შემოიტანა.

წელს, არხეინად ზის აგიზგიზებულ ბუხართან და თავმომწონედ გასძახის შვილებს, პატეფონი მოაწყვეთო.

—კაი გამოგონებაა, აი პატეფონი! —სარაჯიშვილის ძვალი აღარ არის მიწაში და აგერ ცოცხალი გგონია... სიამაყის გრძნობით დასძენს კოპლატაძე.

ამბაკო ჟურნალ-გაზეთებსაც ეტანება. საყვედურობს: კაი წიგნებს ვერ ვშოულობო. ერთა ლიგასაც ხშირად ახსენებს ამბაკო. გურიაში თავი მოსწონთ უცხო ქვეყნებისა და საგარეო პოლიტიკის ხსენებით. ამბაკო სხვას როდი ჩამორჩება. ნაკითხობაში რომ დაგარწმუნოთ, ბებელის „დედაკაცსა და სოციალიზმზე" ჩამოაგდებს სიტყვას, „გლეხი კაცის ისტორიიდან" რომელიმე ადგილს გიამბობსთ, საათს ხშირ-ხშირად დახედავს, თუ საათი არ მოუწონეთ, ან ვერ შენიშნეთ, ილრუბლება.

—თქვენს საათში რა დროა? შემეკითხა განგებ, ვითომ თავისი საათის მუშაობის სიზუსტეს არკვევსო. თავი მოწონს, რომ სოფლის კრებებზე დანიშნულ დროზე მიდის. მეზობლებსაც ურჩევს, საათები გამოიწერეთო.

ამბაკო შეზარხოშებულია.

—ვალიკო, დამიწყე ბიჭო, საკოლმეურნეო.

ვალიკო გაჭირვეულდა. დაიმორცხვა, თითქო ინტიმურ რამეზე შეასწრეს. გაბრაზდა ამბაკო. გუნება შეიცვალა. არ ვარგხართო, გაუწყრა ვაჟიშვილებს. კესარიასაც წაეკვიმატა. მომიბრუნდა და ყვედრებით დაიწყო: უხეირო ხალხი ვართ, ქართველები... კაცო, საქართველოს ბულბულის ქვეყანას ეძახიან და სუფრაზე სიმღერა ვერ ვთქვათ?! რომ არ გვეხერხებოდეს მოლხენა და დროსტარება კიდევ ჰო, მაგრამ თვე არ გაივლის გურიაში ახალი სიმღერა არ გამოიგონონ, დიდმა თუ უწლოვანმა სიმღერა არ იცოდეს... გამოყენების შნო და ლაზათი არ გვივარგა. აიღეთ ახლა რუსეთი. მე მიცხოვრია რუსეთში... იმის დროს ყველა კუთხე მოვიარე. შეიკრიბებიან ხანშესულები თუ ახალგაზრდები. წამოიწყებენ ხალხურ სიმღერებს, ააყოლებენ ტაშს და გახურებულ ბუქნას უვლიან. მღერიან ყველგან: ოჯახში, ოჯახს გარეთ სამუშაოზე და სეირნობის დროს ხომ ჩვენებურ ოლიმპიადას არ ჩამოუვარდება მათი შეჯიბრი და დროს ტარება. უკრავენ გარმონს, ბალალაიკას გიტარას და ყოველგვარ ხალხურ დასაკრავებს. ჩვენში თუ დიდი წვეულობა არ გამართე, სიმღერას ვერ გაიგონებ. სიმღერა ყველამ იცის, მაგრამ თუ არ დაათვრე, კრინტს არ დასძრავს. თუ კარგი მოსიმღერეა, სადმე გუნდში ჩაეწერება და გათავდა, სანამ გუნდის წევრებს გვერდში არ ამოუყენებ, პირს არ გააცმაცუნებს, ხმა წამიხდებაო, არა, ბიძია არა, ქართველებმა სიმღერა იციან, მაგრამ სიმღერისა და გართობების დანიშნულება არ გაეგებათ. ერთი „ყანური" სიმღერა იცოდენ, ყანაში სათქმელი და ამ ბოლო ხანებში აღარც იგი გამიგონია...

ამბაკომ ამოიოხრა. დარცხვენილ შვილებს მწყრალად გადახედა. გული მაინც ვერ მოიბრუნა და ისევ განაგრძო: ქართველი კაცი მაღლა-მაღლა იყურება, თუ დიდკაცობას მიაღწია, ხალხური გასართობების ხსენება ესირცხვება. ოპერასა და ბალეტზე დაგიწყებს საუბარს. ჩონგური რომ მოაგონო დაგცინებს... პასუხად პიანინოს შეხედავს და ამით გაგრძნობინებს, პიანინოსთან ჩონგური რა მოსატანიაო. ცხოვრებაში ასე როდი ხდება. აქაო და ტრაქტორი მოვიგონეთო, ამიტომ ცხენები არავის გაუქლექია. მაგალითსაც გიამბობ. ამას წინად ქალაქში ვიყავი. ჩაპაევი ვნახე კინოში. ხომ საოცარი სურათია, მაგრამ ჩაპაევი რომ ხალხურ სიმღერებიდან ნაწყვეტებს არ მღეროდეს, „შავო ყორანოო". თუ რაღაც ასეთი უნდა იყოს... დაღუპვის წინ ლამით რომ ბანაკში ის სევდიანი ხმა არ ისმოდეს ჯარის და თვითონ ჩაპაევისაც, მერწმუნე ჩაპაევი ხალხის საყვარელი გმირი ვერ გახდებოდა... ხომ მართალს ვამბობ?!

—მართალი ხარ ამბაკო! თუმცა...

ველარაფერი ვთქვი. ძალაუნებურად ხმა გავკმინდე.

—თუმცა, კი არა, ასეა ეს,—ჩამოართვა სიტყვა ამბაკომ—ამაში მწერლებიც ქე ხართ დამნაშავე. მართალია, ბევრსა სწერთ, მაგრამ ცხოვრების სინამდვილეს გვერდს უვლით. ან არ იცნობთ ამ ცხოვრებას. ან... რა ვიცი იქნება ზოგიერთი განგებაც ქე გაურბოდეს „ჩვენისთანა" ხალხზე წერას. რატომ უყვართ ეგნატე გურიაში?! იმ დროის გურიის ცხოვრება ჰქონდა შესწავლილი. იცნობდა ურუშვილებს, დროიძე-მკლავაძეებს. სიმართლეს წერდა. განათლებული ხალხი ხართ მწერლები, მაგრამ მკითხველი სიცრუეს მინც არ დაგიჯერებთ.

თავისთავზე არ მიიღოთ... თუმცა საყვედურო თქვენთანაც ბევრი მაქვს. ამას წინად, ჩემი ბიჭი შენს მოთხრობას კითხულობდა. დახურა წიგნი და ეზოში გავიდა. „ვაი-ვუი ნატანებს, კვერცხი არ გამატანესო" წაიმღერა გზადაგზა.

გამიკვირდა რამ მოაგონა ამ ბიჭს ეს სიმღერა-მეთქი. მაშინ დაბადებულიც არ იყო, როცა ნატანებზე ეს სიმღერა გამოიგონეს. ვკითხე, სად ისწავლე, ბიჭო, მაგ ლექსი მეთქი. წიგნში წერიაო მომიგო მან ამაყად. რამდენი ლექსი და სიმღერა არის ახლა ჩვენში კოლექტივზე, ახალ ცხოვრებაზე. ახალგაზრდები, წიგნების მიბაძვით, მაინც „სიმონიკა გოცაძეს" მღერიან.

შენი მადლობელი ვარ მაინც. ჩემი ცხოვრება კარგად აგიწერია, მაგრამ გვარი რატომ გამომიცვალე?!

ამბაკომ გადიხარხარა. ჩაის ჭიქა ოქროსფერ ცოლიკოურით გაავსო და მწერლობის სადღეგრძელო დალია.

უცებ სიცივე შემოკრა. ქარი ამოიჭრა და ყინვისაგან მოსხრეკილი ფოთლები ჰაერში აიტაცა.

—თოვლს ეპირება—დაბეჯითებით თქვა ამბაკომ.—თქვენთან მუსაიფი საღამოსთვის გადავდოთ, ახლა კი ათი ძირი მანდარინი დამრჩა შეუფუთნავი და თუ არ მივხედე, ყინვები დამილუპავს.

ამბაკო ბოდიშით წამოდგა სუფრიდან, კესარიას გასძახა სახვევი მომიმზადეო და თვითონ გვიმრის მოსატანად გასწია.

შეესიენ მანდარინებს შესათუთნავად.

—გამიწყრა ღმერთი—საყვედურობს ამბაკო—ორმოცი ძირი მქონდა დარგული? იმ ჩემი სიგლახის დროს, გავშალე ღობე... ჩამოლაგდა თხები და სინედლე ამოკორტნეს ხუთის წლის ნარგავ ხეებს. ეს ორი წელიწადია, თავს ვევლები, მაგრამ... ორასი თუმნის მანდარინი გავყიდე ამ შემოდგომაზე.

—ყოჩაღ, ამბაკო!

—ყოჩაღი მაშინ ვიქნებოდი, თავიდან რომ მიმეხედა... მაგრამ გლეხი კაცი თურმე ჭკუას გვიან ისწავლის.

■

ვაგრძელებთ საუბარს. ამბაკო ზის დანაკვერცხლებულ ბუხრის წინ და ხანგამოშვებით რცხილის ჯირკებს უჩუჩხურებს. ენაძვირიობს, მაგრამ განწყობი-



პ. ჩხიკვაძის მოთხრობა „ხელოვანის წინადადებას" ილუსტრაცია

მხატვარ ე. ახვლედიანისა

ხელოვანის წინადადება

(დასასრული)

ლებაზე ეტყობა, რომ სალაპარაკო ბევრი აქვს. ჯერ კიდევ, ალბათ, თავი ვერ მოუძებნია სასაუბრო კითხვებს და ჯირკების გვერდის შენაცვლებას აყოლებს გულს.

ელექტრო-ჭაღი აინთო.

სახტად დავრჩი. ამბაკომ თავი ასწია და ღიმილით მომმართა: ხომ ხედავ ელექტრონიც აღარ გვაკლიაო. ერთი პატარა სადგური გვიდგას. ხე-ტყის ქარხანასაც ვამუშავებთ, წისქვილს, ძაფსახვევ ფაბრიკას და სოფელსაც გვყოფნის გასანათებლადო.

ამბაკო დადუმდა. თითქო ამოიოხრა კიდეც. სასტუმრო ოთახში კესარია შემოვიდა.

—დედაკაცო, გაგიჟდი, თუ რა მოგივიდა?—შეუტია ცოლს ამბაკომ.

—რა გინდა, ყაძახო!—ძლივს ამოიღო ხმა განცვიფრებულმა კესარიამ.

—აბა, რავა წინდებით დადიხარ... ფეხზე არაფერი გაქვს?

—ერთი შენც... გუშინ იატაკი მოვრეცხე და ტალახიანი ფეხებით ვიარო?!

ყველას გაგვეცინა.

—ყოჩაღ, ჩემო კესარია..- გამოიცვალა კილო ამბაკომ.-დამასახლა ამ დედაკაცმა. გასულ წელს ორასი შრომა-დღე გამოიმუშავა კოლექტივში. სამასამდე შრომა-დღე მეც მქონდა. აგვევსო ბუჯერი წლის მოსავალით. საყოფი სიმინდი არასოდეს არ მომიწევია, წრეულს, ოცი ცენტნერი გასაყიდი მექნება. ორი ცენტნერი თუთუნიც ქე ჩავაბარე, მაგრამ ამბაკო შეჩერდა. ჩაახველა, სიტყვა მაინც აღარ გააგრძელა.

—რაღაც უნდა გეთქვა, ამბაკო!—შევნიშნე ცოტა ხნის დუმილის შემდეგ.

—არაფერი.

შემდეგ ერთბაშად მომახალა: პირველ მაისობას თუ დაესწარი წელს ტფილისში?

—დავესწარი.

—როგორ მეგეწონა ჯარიანობა და მინდორზე ქეიფი? რა გიკვირს. ორი დღე ვიქეიფე მე ხუდადოვის ტყეში. მთელი ქალაქი იქ იყო.

—ძალიან კარგი დღეობა იყო. ვინ წუნობს?

—კაცო, საეკლესიო დღეობები, ქელეხი და მოლოცვის ქორწილი რომ გადავაგდეთ, ეს ბრძნული საქმე იყო, მაგრამ კალანდამ რა დაამავა. რევოლუციას ხომ აქვს საკუთარი წელთაღრიცხვა. რა იქნებოდა,რომ კალანდობაც გაგვეცოცხლებია და ეს დღეობა ოქტომბრის ზეიმისათვის შეგვეერთებია. ჩვენი ახალი წელთაღრიცხვა ხომ ოქტომბრიდან იწყება? ამ დროს რთველი მოსტუმრებულია, ხალხი ხელმომბარი. ოქტომბერი სახალხო დღესასწაულია და რა ურიგო იქნებოდა, ხალხიც და მისი ხელისუფლებაც უდიდესი ლხინითა და დროსტარებით ხვდებოდეს ამ დღესასწაულს. გაიმართოს შეჯიბრებები სიმღერების, ცეკვის, ბურთის თამაშის... ოცი წელიწადია ბურთი არ მითამაშია. მამაჩემი ფოთში მიდიოდა საალდგომოდ, ბურთს ვითამაშებო. მემკვიდრეობის გამოყენებაო, რომ იძახით, კაცო, ადექით და გამოიყენეთ. წინად თუ დღეობები და ქელეხები ხალხის ტყავგასაძრობად იყო მოგონილი, დღეს ის შრომის ზეიმად შეგვიძლია გადავაქციოთ.

შრომაზე უდიდესი გავლენა აქვს გასართობებს. გურიაში, ძველადვე შემოუღიათ ყანური სიმღერით გასვლა მინდორში. ჯარი მუსიკით მიყავთ ფრონტებზე. ბურთის თამაში კუნთებს ამაგრებს. ბურთს ახლაც თამაშობენ ქალაქებში, მაგრამ ის ხომ ხელმიუწვდომელია. ბურთაობა, დოღი და ჭიდაობა სახალხო უნდა იყოს და არა შორიდან დურბინდებით საჭვრეტი. დღეობებზე ვამბობდი. გაზაფხულს ხომ ამშვენებს მაისობა. მაისობა მუშათა სოლიდარობის დღეა. კოლმეურნეებსაც უნდა ჰქონდეს ასეთი დღეობა. ჩემის ფიქრით, თესვის დღე რომ სახალხო დღესასწაულად გამოვაცხადოთ, ჩავატაროთ ზეიმი და დროსტარება, მერწმუნე, დიაღ ამხანაგებო, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება, ჩვენი ყოველწლიური ცხოვრება ომია, ომი ზავდაუდებელი!

ჩვენ ვიბრძვით ყოველი ზედმეტი თავთავისთვის მინდვრებში!

ჩვენ ვიბრძვით ბორბლების ყოველი ზედმეტი გადატრიალებისთვის—ქარხნებში!

ჩვენ ვიბრძვით ჩვენი ცხოვრების ქვესკნელში თხუნელებივით მიჩქმალულ შინაური მტრების წინააღმდეგ.

ჩვენ ვიბრძვით მსოფლიო ბარიკადებში ჩასაფრებულ იმპერიალისტების წინააღმდეგ!

ჩვენ გამარჯვებას შენატრის გერმანელი მუშებიც, ამერიკელი თვგგახეხილი ხანგიც, მაროკკელი დაღალული მებრძოლიც, ჩინელი დამშეული რიკშიც.

მშრომელთა და ჩაგრულთა მსოფლიოს ჩვენ აღმოვუჩინეთ ახალი მხარე, ახალი აღმოსავლეთი.

იქიდან მოვავლინეთ მზე იმედისა და გამარჯვებისა!

ის მზე ახლა ანათებს ყოველ მინდორს, ყოველ ქარხანას, ყოველ ქოხსა და მივარდნილ ჭუჩას!

ის მზე ამოვიდა აქედან, ჩვენი ქვეყნიდან, საბჭოეთიდან!

...ჩვენ არ ვიცით, რა არის გაცდენილი კაცი, უმუშევარი, არაქნია, მატყუარა, თვალთმაქცი. ქვეყნისთვის გამოუყენებელი.

...მუშებიდან, კოლმეურნე გლეხებიდან, მუდის ჩვენი სახელოვანი თაჯარი გმირებისა!

ეს გმირები არიან, რომ ვარდალიხაენ სტაქიონების მრისხანებას და ყინულოვნის უდაბნოებში ანთებენ ლამპარს—საბჭოთა მეცნიერების!

ეს გმირები არიან, ჩრდილოეთის საუკუნოებრივ ჭაობებში და სამხრეთის აოხრებულ უდაბნოებში ხღაპრულ სისწრაფით რომ ამენებენ უზარმაზარ მოხმაურე ქალაქებს!

ეს გმირები არიან, თავიანთი მძლავრი მეტყვით რომ აერთიანებენ ჩვენ მდინარეებსა, ზღვებსა და ოკეანეებს!

ეს გმირები ღრმად იხედებიან საბჭოთა მიწის გულში და იქიდან ამოაქვთ ახალ-ახალი ლითონი, მრავალნაირი დოლვათი ჩვენი ქვეყნის გასამდიდრებლად.

ეს გმირები ადიან პამირის შვიდ კილომეტრიან მწვერვალებზე და იქ, ღრუბლებს ზევით, არწივების საფრენ ზევით აღმართავენ საბჭოთა დროშას!

იცით, ამხანაგებო! ქვეყნიერებაზე ეს პირველი დროშაა, რომელსაც ღრუბელი ვერასდროს ვერ მისწვდება: ის მთელი დღე მიჩერებია ზეს. მთელი ღამე კი მიჩერებია ვარსკვლავებს, ის გმირების ხელით დარჭობილი დროშაა!

ეს გმირები არიან, თავი ნთი რიგებიდან, რომ გადმოაფრინეს ჩელუსკინის ისეთი შევარდნები, როგორიც:

ლიაპიდევსკი—

მოლოკოვი—

კამანინი—

დორონინი.

ამხანაგებო! ჩვენ ვერა ვხედავთ ყველა ჩვენ გმირებს! ისინი ათასობით, ათიათასობით, მილიონობით მობნეულან ჩვენ მხარ-ბეჭიან სოციალისტურ სამშობლოში.

ამ გმირებს შეხვდებით გემებზე, მატარებლებში, ქარხნებში, ტრაქტორებზე, ჰაეროპლანებზე, მაღაროებში. ამათვე შეხვდებით სამეცნიერო კაბინეტებში!

ამხანაგებო, ძმებო, მებრძოლებო! შეხედეთ, ვინ აშენებს ჩვენ ქვეყანას, ვინ იცავს ჩვენ ქვეყანას, ვინ ხელმძღვანელობს ჩვენ ქვეყანას და ერთხელ კიდევ დარწმუნდებით, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ, ჩვენ გავიმარჯვებთ მთელ ქვეყანაზე".

გათავდა სარაიონო საბჭოთა ყრილობა.

შუადამის შემდეგ სესია მარტოდ-მარტო მიეშურება სოფლისაკენ.

ეს სიტყვები, ეს ძლიერი სურათები კი ფცადაფეხ მისდევენ ყველანი—შეფიცული თანგზავრივით.

სიტყვა

ლევან მეტრეველი

სოფლის მეურნეები გაათკეცებული ენერგიით გავლენ სამუშაოზე. ზაფხულსაც შეშვენის ერთი შედლული. ამ დროს მწიფდება ჭირნახული. მოსავლის აღების დღე რომ წინ უსწრებდეს რთველის დაწყებას, უთუოდ დიდი მნიშვნელობა ექნება მშრომელების განწყობილების ასამაღლებლად ..

ამბაკო დადუმდა.

—რას იტყვი?—შემეკითხა ბოლოს კოპლატაძე.—ეს აზრი კარგი ხანია მაწუხებს, ვისაც ვუამბე ყველამ მომიწონა. ისიც მითხრეს საფრანგეთის რევოლუციის დროს უამრავი სახალხო დღეობები არსებობდაო. ვიტყვი ამ ჩემს აზრს და ვნახოთ როგორ შეხვდებიან. სხვათაშორის, საბჭოების ყრილობის დელეგატი ვარ ჩვენი რაიონიდან და, თუ შენც დამეთანხმები, გამოვალ ყრილობაზე ასეთი წინადადებით.

ქ. ტფილისი, 8 იანვარი, 1935 წ.

ზრიგადირი

დია ჩიანელი

1.

საღამოა.

ქუთაისის გამსახლის ალაყაფის კარები მძიმედ გაიღო და ვაჟკაცის გული პირველად შეკრთა, მაგრამ ოხვრა არ ამომსკდარა მძლავრი მკერდიდან. შავი ულვაშების ძირას შეითამაშა ღიმმა, თვალებში ჩადგა სიხარული.

2.

ბალახით გაბარდღნილ მინდორს, ენგურის პირად, თიბავდა თენგიზ.

ეფინებოდენ ცელის მკლავებზე ურჩხა, მწყერისფერა, სამყური და თაველა. აფერადებდენ სვრელებს ყვავილები: ცისფერი და ლურჯი, თეთრი და ლალისფერი, ჭრელი და ათასფერი, ცრემლებით რომ იკეცებოდენ მუხლებში.

საღამოს დაასრულა თენგიზმა მუშაობა. მზე ჯერ კიდევ იწვა ლურჯ ცაზე და მთის ბებერ მწვერვალებს თეთრ წვერებს უვარცხნიდა. ეცემოდა მისი სხივები დათიბულ ყვავილებსაც, მოდენილ ცრემლს უშრობდა, ჭრილობას უამებდა.

არასოდეს არ მიუქცევია თენგიზს ყურადღება ყვავილებისთვის. იგი ურჩ ჯიხვებს ერთი ტყვიით აწვენდა მთის უფსკრულებში. არჩვებს მისდევდა ფეხდაფეხ კლდეებში. ფრიაპით ფრენაში არწივს ეჯიბრებოდა ყინულოვან ნაპრალებში, სოჭებსა და ნაძვებს ნაჯახის ათი მოქნევით ლაწანი გაქონდა. დაჭრილ ჯიხვს ერთი დაშნის გაელვებით კისერს აგდებინებდა და არაოდეს ამაზე არ დაფიქრებულა ვაჟი ამაყი. კვირიკეს დღეობაზე—ხატი არაოდეს არ დაუფიცია და ნაკურთხი წყლით არ გაუბანია „დაშნა და თვეფ", ჭრთგული მეგობარი, ძვირფასი და საყვარელი.

დღეს კი, როცა ცელი აწყობდა ბალახებთან ყვავილებს, შეკრთა ვაჟი და შეეცოდა... მოკრიბა ყვავილები და დიდხანს ეფერებოდა...

სათიბიდან დაიძრა. ყვავილები მუჭში უჭირავს. მიდის და გასჩერებია ცას მოწმენდილსა და სიხარულით სავსეს...

—თენგიზ!!

მოესმა ამოძახილი და მერე კისკისი. თითქოს ენგურის ტალღებიდან ამოვარდა აბილე. მეზობლის გოგო, გოგო ლურჯ-თვალა და მშველტანა.

—ყვავილ დაგიკრეფია... გაუღიმა. მოწყენით ესროლა, თითქოს მოიშორა ტვირთი მძიმე და აუტანელი. გოგომ ყვავილები დაიჭირა. გადიკისკისა, მიჩერდა მიმავალ ვაჟს, რაღაც სევდა მოაწვა. ქვაზე ჩამოჯდა. მერე ლურჯი თვალებით გახედა ცას. ცა იყო გამჭვირვალე და სუფთა... მიაჩერდა და აღიღინდა, მის ღიღინთან, თითქოს მღეროდა ცაც. ასე ეგონა გოგოს ლურჯთვალებას.

3.

ერთმანეთს კიდევ შეხვდენ კვირიკეს ხატობაზე თენგიზ და აბილე. ღამე იყო და მხოლოდ ვარსკვლავები ანათებდენ ცაზე, ბევრი ვარსკვლავი იყო მთების გადაღმა, მაგრამ აქ ცოტანი მოჩანდენ, რადგან მოებს შორის მცირე იყო ცა, ღამის მთვლელებით ახმაურებულ ხეობას ელვარე სარკის ნატეხივით რომ დანათოდა. შეხვდენ ერთმანეთს. გაახსენდათ ყვავილები და ყვავილებივით აფერადდა ეს მოგონებაც.

4.

—აუ, აბილე! სადაა შენი ქმარი, თენგიზ?...—ღობიდან დაუძახა მურზა გვირგვლიანმა.

—რათ გინდ ჩემი ქმარ?

—ისე... და ულვაშებში გაიღიმა ეშმაკურად.

—რამე ცუდ იცი? და შეკრთა ქალი, მკერდი გაუდიდდა და სული შეეხუთა.

—არა—და მიაჩერდა თვალებში, კიდევ გაიღიმა და განაგრძო.

—თენგიზ ენგურეს ეხვეოდა.

—სად ნახე...

—ვნახე, ერთად დაიარებიან თემს. აი ახლაც, შეხედე, ერთად მიდიან. მართლაც, კომკავშირელი მასწავლებელი ენგურე და თენგიზი ერთად დაიარებოდენ სოფელში თემ-საბჭოს დავალებათა შესასრულებლად. ჩაიარეს. იჭვით აენთო აბილე, აენთო ციცინათელასავით და... გული მისი გახდა ცივი და ლუგი, როგორც ყინულოვან უშბას ნაპრალი.

5.

როცა შინ დაბრუნდა თენგიზ, აბილე ცივად შეხვდა.

ერთი კვირის შემდეგ ის სახლიდან დაიკარგა...

ეძება ქმარმა...

უთხრეს: შენი ცოლ მურზასთან ზის... ღიმილით ხვდებოდენ სოფლის ლამაზები, ზიზღით უცქერდენ მამაკაცები.

აენთო თენგიზ. სული შეუწუხდა. უყვარდა ქალი აბილე, უყვარდა მკერდი მისი, უყვარდა თმა მისი რბილი და სათუთი. თენგიზს უყვარდა ქალი ლურჯ-თვალება.

და როცა თენგიზ სევდიან თვალებს უშბას თეთრ მწვერვალს მიაბჯენდა,—იქ აიშოტებოდა ქალი: აბილე. ახლა კი იგი მურზას ეხვევა. სისხლი მოაწვა ყელში და ირჩობოდა.

6.

გავარდა თოფი ღორღში და დაეცა მურზა. საღამოს აბილე სტიროდა მურზას და მკლავებს უკრეფდა. მიაჩერდა ცხედარს აბილე და მისი საკუთარი ცხოვრებაც მკვდარი იყო და უსიცოცხლო. ტიროდა ქალი, მაგრამ ცრემლები არ მოდიოდენ.

მიხვდა: ალბათ უყვარდა თენგიზს. გაახსენდა: ყვავილები და პირველი მკერდი, როცა იყო სულისთქმა ტკბილი და საოცნებო.

გახედა მთებს: ცას მოსწყდა ვარსკვლავი, წამით გაანათა, ჩაურბინა უშბას და მის უფსკრულში ჩაიჩეხა..

7.

გაიღო გამსახლის ალაყაფის კარები და უკან დატოვა თენგიზმა უშბა და ეს ენგური. ყური მოკრა ჯაჭვის ხიდზე რიონის ხრიალს, კაშხალს რომ ჰყავდა დატყვევებული. საკანშია. მასთან სხვა სვანებიც არიან. ამაყად მიჯდა ყურეში ..

—სისხლ ავიღე... იღიმდენ მისი თვალები... მაგრამ ვერც ერთი პატიმრის თვალებში მან ვერ ჰპოვა თანაგრძნობა. თითქოს ზიზღით უცქერდენ მას და ეცოდებოდათ. . მიიკუმშა ყურეში...

8.

სასამართლომ ხუთი წლის პატიმრობა მიუსაჯა. მერე გუმბრინის რკინისგზის მშენებლობაზე წაიყვანეს სამუშაოდ. ეზიდებოდა მძიმე ლოდებს, მიწას თხრიდა. და იხედებოდა ჩრდილოეთისკენ. მხედველობა ვერ უწევდა დაენახა უშბა და თეთნულდ—მთები მშობლიური. ხანდახან მოელანდებოდა აბილე და თვალებში აუთამაშდებოდა წამით სიხალისე... მიდიოდა დრო. მუშაობის შემდეგ წიგნი შეუყვარდა და გახეთი. ესწრებოდა კრებებს.

თავისი წინადადებები შექონდა გზის მშენებლობაზე...

უსმენდენ, ახალისებდენ.

თვით ძუშაოპაში ერთგული იყო და გამრჯე. ბევრჯერ დააჯილდოვეს და ბოლოს შუამდგომლობა აღძრეს მისი ვადამდე განთავისუფლებისთვის.

9.

ოქტომბრის ზეიმი იყო. აჯილდოვებდენ მშენებლობაზე დამკვრელებს. იდგა სიხარული და თავმომწონედ იცქირებოდენ გმირები. ზეიმს მშენებლობის უფროსიც დაესწრო.

შრომა-გასწორების კოლონიის უფროსმა თენგიზს საჩუქრად ვადამდე ადრე განთავისუფლება ახარა.

მშენებლობის უფროსმა—დამკვრელის სახელწოდება.

როცა საზეიმო სხდომა დასრულდა, თენგიზი მშენებლობის უფროსთან იდგა...

—რა გსურს?

—მინდა მშენებლობაზე დავრჩე...

—სახლი?.

—ჩემი სახლ აქ არის. უფროსმა ივი ბრიგადირად დანიშნა.

და აქვითინდა თენგიზ. თავის სიცოცხლეში პირველად აქვითინდა,მაგრამ ეს ცრემლები გულიდან მოდიოდენ. იგი სიხარულის ცრემლები იყო.

—თენგიზი ბრიგადირია მთებიდან.—ამბობს უფროსი.

თენგიზმა ჩოხის კალთით მოიწმინდა ცრემლები, გახედა ცას, რომელიც სუფთა იყო და ლურჯი. მერე ჩაიხედა თავის გულში: ისიც სუფთა იყო და მართალი...

საბავშო ლიტერატურა

ნინო ნაკაშიძე

ყველასათვის ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდ ახალგაზრდობის აღზრდა-განვითარების საქმეში წიგნს.

სკოლა აძლევს ბავშს ცოდნას, ლიტერატურა კი ხორცს ასხამს ამ ცოდნას, საშუალებას აძლევს ბავშებს გაერკვიონ ცოდნათა სხვა და სხვა დისციპლინებში, აირჩიონ თავიანთი მოწოდება და გეზი მისცენ თავიანთ ცხოვრებას.

რუსეთის დიდი კრიტიკოსი ბელინსკი ამბობს, რომ „წიგნები, რომლებიც ბავშვებისათვის იწერება, უნდა შედიოდეს ბავშვების აღზრდის გეგმაში, როგორც ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი“-ო.

ჩვენში, საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდის, როდესაც ქართულ ენას რუსეთის ჩინოვნიკები ძაღლის ენას უწოდებდენ, ჩვენ საბავშო ლიტერატურას, რასაკვირველია, გასაქანი არ ექნებოდა, და იგი არც არსებობდა. თუ გამოდიოდა თითო-ოროლა წიგნი, იმასაც შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და საქველმოქმედო მოღვაწეობის საგანს შეადგენდა. წიგნები გამოდიოდა პრიმიტიულად, დაუსურათებელი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ერთადერთ დასურათებულ „ქართულ ზღაპრებს“. ჩვენი ქართველი ბავშები უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ „ჯეჯილითა“ და „ნაკადულით“, რომლებიც სკოლების ბიბლიოთეკებში სახმარად აკრძალული იყო. ჟურნალებს ჰქონდათ უფრო კრებულების ხასიათი, მოთხრობისა და სამეცნიერო წერილების სახით, რადგანაც ჟურნალებში შეუძლებელი იყო თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის გაშუქება, ან რაიმე ახალი აზრების წამოყენება ბავშებისათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათანავე, 1921 წლის პირველი მარტიდან ფართოდ გაიშალა საბავშო წიგნების გამომცემლობის საქმე. ის გადაიქცა განათლების სახ. კომისარიატის მზრუნველობის საგნად. პირველ წელიწადსვე, გარდა ჟურნალებისა, რომელთა გამოცემაც იკისრა კომისარიატმა, გამოიცა რამდენიმე ათეული წიგნი, მუსიკალური ნაწარმოებნი და პიესებიც ქართულად, სომხურად და თათრულადაც.

გამოიცა ისეთი წიგნები, რომლებიც ჩვენთვის მიუწდომლად ითვლებოდა, მეტად ფერადნახატებიანი წიგნები. მე აქ არ შევუდგები იმის განმარტებას, თუ რა მნიშვნელობა აქვს კარგ მხატვრობას ბავშებისათვის და ნამეტნავად ფერად ნახატებს. პირველი ფერადნახატებიანი წიგნი გამოიცა ექვსი ფერით. ნახატები შესრულებული იყო ვ. ერისთავის მიერ. ამ წიგნმა, ეს მაშინ დიდი მიღწევა იყო,—დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენ ბავშებზე. მას შემდეგ ფერადნახატებიანი წიგნების გამოცემა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა ჩვენს ცხოვრებაში: ჩვენი ბავშები აღარ არიან მოკლებული ესთეტიკურ აღზრდას. დიდი მიღწევა იყო ისიც, რომ გამომცემლობამ პირველი წლიდანვე ხელი მოჰკიდა აგრეთვე სასკოლო ასაკამდის ბავშებისათვის წიგნების გამოცემის საქმეს, რომლის ხსენებაც კი არ იყო ჩვენში, არა თუ ჩვენში, დიდ რუსეთშიაც კი კერძო გამოცემები არ კისრულობდენ იმ დიდ ხარჯებს, რაც ამგვარი წიგნების გამოცემას ახლავს თან, არ მისდევდენ ორიგინალურ ნახატებიან წიგნების ბეჭდვას და უმეტეს შემთხვევაში უცხოეთის საბავშო წიგნებიდან გადმობეჭდილ ნახატებით კმაყოფილდებოდენ.

წიგნებისათვის ილუსტრაციის გაუმჯობესების მოთხოვნილებამ გამოიწვია მხატვრების შემოქმედების გაღვივება. უწინ ერთად-ერთი საბავშო ილუსტრატორი ო. შმერლინგი მოგვეპოებოდა, მაგრამ წიგნების რიცხობრივად ზრდასთან, ჩვენ ვხედავთ მხატვრობის ხელოვნების ზრდასაც.

ჩვენ არ მოგვეპოებოდა სრულიად საბავშო პიესები, გამოჩნდენ დრამატურგები და პიესებიც მოგვეპოება.

გაჩნდენ საბავშო კომპოზიტორები და გვაქვს მუსიკალური ნაწარმოებნი, ოპერები და სიმღერები.

მთელ დედამიწის ზურგზე არნახულმა ახალმა ცხოვრებამ, ახალმა მშენებლობამ, ჩქარი ტემპებით მშენებლობამ, დასვა მრავალი ისეთი საკითხი, რაზედაც ბავშების მასა დაუინებით მოითხოვს პასუხს და ამან კი შექმნა ისეთიმწერლობა, როგორიც არც ერთ ხალხს (საბჭოთა ქვეყნის გარეშე) არ მოეპოება. უკუგდებულია სანტიმენტალური, პასიური დათმობისა და რელიგიური მოთმინების აპოლიტიკური პრინციპები, ბავშები აქტიურად ჩაებენ საერთო მშენებლობაში.

მწერლობამ წამოაყენა მთელი კადრი ახალგაზრდა მწერლებისა და არ არის საკითხი, რომ არ ცდილობდენ მის ყოველგვარად გაშუქებას. თუ ჩვენ ჟურნალებს არ ჩავთვლით, შეიძლება ითქვას, რომ სრულიადაც არ გვქონდა საბავშო ლიტერატურა. ამჟამად კი გვაქვს გეგმიანი სისტემატური გამომცემლობა. გამოცემულია ეროვნულ უმცირესობათა წიგნებიდან 600 მეტი სახელწოდების ახალი წიგნი, საშუალოდ 5.000 — 10.000 ტირაჟით.

გვაქვს ოთხი ჟურნალი ოქტომბრელებისა და პიონერთათვის. სამი ყოველთვიური, ერთი ორკვირეული: ორი ქართულ ენაზე და თითო სომხურსა და თურქულზე. გამოდის პიონერთათვის გაზეთი „ნორჩი ლენინელი“.

და მთელი ეს ლიტერატურა ეხმარება ახალ სკოლას, ჰქმნის მასთან ერთად ახალ ჩვევებს, ახალ გაგებას და გზას უკაფავს მოზარდ თაობას ახალი, სალი და ბედნიერ ცხოვრებისაკენ.

ეგნატე ნინოშვილი



დავით კლდიაშვილი

დანიელ ჭონქაძე

ქართველი კლასიკოსების პორტრეტები

შესრულებული ა. კოჯოიანის მიერ

(სახელგამის დაკვეთა)

ბიბლიოთეკიდან

ახალგაზრდა კომუნისტი

5 იანვრის №-ში გამოქვეყნდა საინტერესო ცნობა ხელმოწერილი ტფილისის კომკავშირის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივნის ტ. კობალაძის მიერ, იმის შესახებ, რომ ამ რაიონში ლენინის იქვსტომეულზე 3.100 ხელისმომწერია შეგროვებული. რაიკომის ეს გამარჯვება მისასალმებელია, როგორც კულტურული ზრდის მაგალითი.

ამავე გაზეთის 9 დეკემბრის №-ში მთელი გვერდია მიძღვნილი ტფილისის სახ. ოპერაში არსებულ მდგომარეობის შესახებ. გაზეთი ამტკიცებს ოპერის ხელმძღვანელობის უვარგისობას, ოპერაში მუშაობის უწესრიგობას და, საერთოდ, მის ცუდ მუშაობას.

მთლიანი „კოლექტივიზაცია“

სენაკის რაიონული გაზეთი აქტიურად და დროზე გამოეხმაურა ბავშთა მხატვრული შემოქმედების ოლიმპიადის მშვენიერ საქმეს. კომკავშირის რაიკომის და რედაქციის მიერ გამოტანილია სპეციალური დადგენილება, გამოყოფილა ოლიმპიადის რაიბიურო შემდეგი შემადგენლობით: ი. ნაჭყებია (თავმჯდომარე), ბ. უჩანეიშვილი, შ. თოფურია, გ. სარიშვილი და ჩვენი გაზეთის სპეციალური კორესპონდენტი გ. გაბედავი (მდივანი) რაიონულ ოლიმპიადაზე შერჩეულ მასალას გადმოგვიგზავნიან „ლიტერატურულ გაზეთში“ გამოსაქვეყნებლად. დანიშნულია პირველი პრემია 500 მანეთი. დაწყება კარგია, ვნახოთ რა შედეგებით გამოვა სენაკი.

სომხეთის ქრონიკა

ჰენრიხ ჰეინეს სიმღერების წიგნი სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობის შეკვეთით თარგმნეს პოეტმა ნორენცმა და სარიანმა. გადათარგმნილია დაახლოებით 5.500 სტრიქონი.

ჰომეროსი და შექსპირი ასეთი სათაურით გამოვა სურხათიანის ახალი შრომა ჰომეროსისა და შექსპირის შემოქმედებათა შესახებ. წიგნი შეიკავს 35 ამონაბეჭდ ფურცელს და იბეჭდება ტფილისში. წიგნს სცემს სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობა.

სახალხო მწერალმა შირვან ზადემ გადასცა სომხეთის კინომრეწველობას ახალი სცენარი „უკანასკნელი შადრევანი“. სცენარის შინაარსი აღებულია ბაკოს ნავთის წარმოების მუშების ყოფა-ცხოვრებიდან—შეეხება ბურჟუაზიის დაცემასა და ოქტომბრის რევოლუციის წინადღეებს.

ჟან-რი შარ-ბლოკმა (ცნობილი ფრანგი მწერალი) დაწერა სცენარი საბჭოთა სომხეთის ცხოვრებიდან: „ორთქლმავალი № 15.

პატარა ფელეტონი

ანგარიშის მოლოდინში

საქართველოს მწერლობა ესალმება საბჭოთა ყრილობას. ესალმება და აბარებს შემოქმედებითს ანგარიშს.

მწერალთა დელეგაცია მზად არის მისასალმებელი გამოსვლისათვის ყრილობაზე. რუსთველის თეატრის ფოიეში სხედან დელეგატები და ბაასში არკვევენ თუ რით წარსდგებიან ყრილობის წინაშე.

უფრო ფიქრობენ, ვიდრე ბაასობენ.

— ეეხ, სიბერეს რა ვუთხრა,— ფიქრობს მიხეილ ჯავახიშვილი— რუსთაველს უნდა გადავუვადო ვალი იმ ნიჭისთვის, რომელიც მნ მიანდერძა. მისი ცხოვრების რომანი მინდა დავწერო. მე თუ არა, აბა სხვას ვის შეუძლიან ჩვენ ეპოქაში ეს საქმე შეასრულოს, კარგია, რომ ყრილობას მივესალმები. თხოვნაც მექნება ყრილობის დელეგატებისადმი. უთხრან იქ. ჩემ მკითხველებს, რომ ეგრე ნუ მოუხშირეს პირად წერილების წერას. შეუძლებელია ყველას გავსცე პასუხი. ზოგი აბორტის შესახებ მთხოვს დარიგებას, ზოგს ქმარი გაჰყრია და მე შემომჩივის, ზოგიც სიყვარულს მიხსნის... აბა, გეთაყვა, რაღა დროს ჩემი სიყვარულია.

პანტელეიმონ ჩხიკვაძე თვალებს აბრიალებს და დაყინებით მისჩერებია ჯავახიშვილს. ფიქრობს:

— ნეტავ, რას ფიქრობს მიხეილი? თუ შეჯიბრება სურს—მზად ვარ. მართლაც, რა კარგი იქნება, რომ აქ, ყრილობაზე გამოვაცხადო შეჯიბრება. „სართულები“ წამოვჭიმე, სოციალისტური რეალიზმის „ნაბიჯები“ გადავდგი და მეტი რაღა ვქნა! განა ეს საკმარისი არ არის, რომ კლასიკოსი გავხდე?...

— დეე, ნურავინ შემამჩნევს—ფიქრობს კუთხეში მიმჯდარი სახალხო პოეტი გალაქტიონ ტაბიძე—შეუმჩნევლად წარვდგები ყრილობის წინაშე, მოწიწებით თავს დავუკრავ ჩემ ძმებს, სოციალიზმის მშენებლებს.

სახალხო არტისტი შალვა დადიანი, მამა-პაპურ სადადიანო ჩოხა-ახალოხით და უძიროებით დარდიმანდ ულვაშებს იგრეხს და გულში გემრიელად იღიმება.

— ხე, ხე, ხე.. ამასაც ხომ მოვესწარ, კიდევ ერთი ყრილობა! ეს ძველი და სხვა ახალი! გაჩერდი დროვ, გაჩერდი მზევ, რომ დავტკბეთ სიდიადით. მე რა მეთქმის! მგონი სინდისიერად ვიხდი საბჭოთა მოქალაქისა და მწერლის ვალს! პიესები გნებავთ? ინებეთ, რამდენიც გნებავთ, რა თემაზე მოისურვებთ?... რომანები? ინებეთ!.. ნარკვევები? ინებეთ!... ლექსები?... ლექსები—კი არა... საქართველოში უჩემოდაც ბლომად არიან პოეტები!.., ხე, ხე, ხე!...

სანდრო შანშიაშვილი დაღონებულია.

— ღმერთი არ გაუწყრეთ და სიტყვის თქმა არ დამავალონ. აბა, რომელი ორატორი მე ვარ, ძმაო... პიესებს ხომ ვწერ, არა? ცუდი პიესებია? სოციალისტურ მშენებლობას ხომ გამოადგება? ჰო და, მოდი, თუ ძმა ხარ, სიტყვას ნუ მთქმევინებ.

პატარა კაცი, ზვიადი გულითა და ბასრი კალმით, პოეტი ნარიუშვილი ქვეშ-ქვეშ გამოიყურება. ხელში უჭირია მუშა-დამკვრელის წიგნაკი, რომელიც მიიღო ფერო-მარგანეცში მუშაობის გამო.

აი ჩემი ახალი პასპორტი, ლექსიც ვიცი, შრომაც ვიცი.

მოსკოვიდან მოულოდნელად ჩამოსული პაოლო იაშვილი ექსპრომტს იგონებს, მარაგი ბლომად აქვს, მაგრამ დღეისათვის ბევრი მათგანი გამოუსადეგარია:

— დალახვროს ეშმაკმა... ნუ თუ ექსპრომტს ვერ მოვიგონებ... რაღა ლექსის წაკითხვა დამავალეს? აბა, რომელი ჩემი ლექსი მივუყენო ყრილობას?

წამოხტა ზეზე, დადის გაფაციცებით და ჩურჩულებს ლექსებს.

მიმიმე პავლე საყვარელიძე მაგარ ჯოხს ატრიალებს ხელში.

მეფის კატორღაში ბორკილების ტარება უფრო ადვილია, ვიდრე მწერლობა... წაკითხეთ და ნახეთ, დელეგატებო, ყრილობის წევრებო,"როგორ ვქმნიდით რევოლუციას. იმიტომ არის გემრიელი და სასიხარულო დღევანდელი დღე...

ახალგაზრდა ბელეტრისტი კონსტანტინე ლორთქიფანიძე მისჩერებია თავის მცხოვან მოგვარეს ნიკო ლორთქიფანიძეს და ფიქრობს:

— მირჩია, ბიძია, რა ვქნა... უეჭველად შემეკითხებიან და შევრცხვი კაცი... „სიმინდის რესპუბლიკა“ პირველი ნაწილი გამოვიდა, აქებენ, თარგმნიან... მერე? სადღაა მეორე ნაწილი? რას უცდი? რა ვუპასუხო, თუ შემეკითხენ?..

თან შესცინის იქვე მდგომ ალიო მაშაშვილს და კარლო კალაძეს. უკანასკნელნიც იღიმებიან, ვითომ რაღა და შენზე ნაკლები საამაყო გვაქვსო? მათაც უხარიათ, რომ ესალმებიან ყრილობას, როგორც მისი პირმშო შვილები. მათ გვერდშია სიმონ ჩიქოვანი, მებრძოლი აზრიანი ლექსისათვის. აქვეა დაუღალავი ტიციან ტაბიძე, მოუცვენარი აგიტატორი რაიონის და მის მიდამოების მშენებლობის. აქვეა ჭაღარა პოეტები ნოე ხომლეთელი და გიორგი ქუჩიშვილი, პოეზიის საიდუმლოების გამომძღვანებელნი, ჩვენი წინსვლის აშუღები.

კრიტიკოსსთა დასტაც აქ არის, პ. ქიქოძე, ბ. ბუაჩიძე, შ. დუდუჩავა, რადიანი, ბ. ყენტი—თავს დასტრიალებენ მწერლებს და სიყვარულით ეალერსებიან. უყვართ მწერლები, როგორც დედას თავისი შვილი, არა ერთხელ მისგან გაწკეპლილი. ესენიც ესალმებიან ყრილობას და სდებენ ფიცს—ამიერიდან იყვნენ მიუდგომელი და ობიექტური, რბილი და ენა ტკბილი.

დრამატურგები ცალკე დგანან. პეტრე სამსონიძე ცდილობს მედიდურად მოაჩვენოს თავი თვის მცირე, მაგრამ მხნე რაზმს, რომელიც ხელჩართულ ბრძოლაშია ახალი, სოციალისტური თეატრის დამყარებისათვის. დიალოგებით შეარაღებულან და ელიან საასპარეზოს შალვა დადიანი, სანდრო შანშიაშვილი, პოლიკარპე კაკაბაძე, გერცელ ბაბაზვი, გუგული ბუხნიკაშვილი, იონა ვაკელი, ვიქტორ გაბისკირია.

იოსებ გრიშაშვილი მორიდებით უკან ჩამდგარა—თავდაბალი კაცია და თვალყურს ადევნებს მწერლებს, რომ აღბეჭდოს შემდეგ თავის ლამაზ მონოგრაფიებში მათი ისტორიული სახეები. ფიქრობს იგი ყრილობის წინაშე წარდგომის წინ:

— სანიაზო მარაქაა... ჩვენი უსტაბაში მალაქიაც როგორ ომახიანად ხის პრეზიდიუმში... ბემურაზი ბემურავთი უნდა იყო, რომ ყაბული არა გქონდეს დღეის დღეზე. ბაჯაღლო მთავრობაა. დნგრა ვაუკაცებია.. ბილანი ხალხია და იციან საქმის სარისტი... რა არის თათარიახნად ერთი ლაზათიანი მუნასიბი ვთქო. ჰამ, სად შემიძლია!.. საიათნოვა არა ვარ, ან ჩახმახ—ასლანა, ან ქეშიშდარდიმანდი, ან გიგუა კამბეჩუაშვილი... ვახ, რა მელექსეები იყვნენ... მეც რაღა, ეს ულუპაპას დროის ხალხი მომგონდა. განა ახლა ნაკლები პოეტები გვყავს? შეხედეთ ჩვენ დასტას! სალბუნისავით სიტყვა იციან: ისეთ ყაიდის საღიანგო ქაროზს იტყვიან, რომ სულ ელეთ-მელეთები მოგვივლის. მახლას, ერთ დროს მეც ვწერდი ლექსებს... არაფერია, ახლა უკეთესი საქმე მაქვს—კულტურული მემკვიდრეობის სწორი აღწერა..

ასე ემზადებიან მწერლები ყრილობისადმი მისასალმებლად.

გუგული

70 სახელწოდება

საგამომცემლო ორგანოებს მხატვრულ ლიტერატურის გამოცემის საქმეში ფართო გეგმები დაუსახავთ. „ფედერაციი“-სა და „სახელგამის“ გეგმის მიხედვით პირველ კვარტალში გამოცემული იქნება 70 სახელწოდების მხატვრული წიგნი.

„სახელგამი“

საინტერესო წამოწყებად უნდა ჩაითვალოს სახელგამის მიერ კლასიკოსების ნაწერების „მასიური ბიბლიოთეკის“ სერიით გამოშვება. პირველ კვარტალში გამოცემული იქნება დ ა ნ ი ე ლ ჭ ო ნ ქ ა ძ ე—სურამის ციხე. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი—სოლომონ მეჯღანუაშვილი. გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ე ლ ი—პირველი ნაბიჯი, გულქან. ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა—გოგოთურ და აფშინა, ბ ახ ტ რიონი. დ ა ვ ი თ კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი—სამანიშვილის დედინაცვალი. ყ ა ზ ბ ე გ ი—ხევის ბერი გოჩა, ნ ი ნ ო შ ვ ი ლ ი—ჯანყი გურიაში, მოსე მწერალი. ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი—დედამაია, ღამის მეხრე, „ციცო“. ა. წ ე რ ე თ ელ ი—ჩემი თავგადასავალი, გაბრდელი. ა რ ა გ ვ ი ს-პ ი რ ე ლ ი—ორი მოთხრობა. ლ ო მ ა ურ ი—ალი, ქაჯანა, ბედი უბედურთა, გიგი. ღრუბელაშვილი. ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე—რჩეული ლექსები, კაკო ყაჩალი, განდეგილი, აჩრდილი.

გარდა ამისა სახელგამის მიერ გამოცემული იქნება პ უ შ კ ი ნ ი—ევგენი ონეგინი. შ ო ლ ო ხ ო ვ ი—გატეხილი ყამირი, ბ ო კ ა ჩ ი ო—დეკამერონი. გ ა ლ. ტ ა ბ ი ძ ე-თხზულებანი. მეორე ტომი, ოსური მწერლობის კრებული. ვ. ჟ უ რ უ ლ ი—ლექსების წიგნი. გ. ქ უ ჩ ი შ ვ ი ლ ი—თხზულებანი მეორე ტომი. გ ი უ დ ე მ ო პ ა-სანი—ფუნთუშა. შ ა რ დ ე ნ ი—მოგზაურობა საქართველოში. პ ა ვ ლ ე ნ კ ო—ბარიკადები. ფ ე შ ა ხ გ ი—შახნავაზიანი. ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე-ლ ა—მეხუთე ტ ო ი (პროზა), გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი—ლექსები. ლ ი ს ა შ ვ ი ლ ი—პოემები.

„ფედერაცია“

პირველ კვარტალში განზრახულია გამოშვებულ იქნეს უ ი ა რ ა ღ ო—ამეღუკები. ნ ი კ ო ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე—თხზ. პიოველი ტომი. მ ა ქ ს ი მ გ ო რ კ ი—მოთხრობები. დ. კ ლ დ ი ა-შ ვ ი ლ ი—თხზ. პირველი და მეორე ტომი. ყ ა ზ ბ ე გ ი — ე ლ გ უ ჯ ა (ახალი ვარიანტი) მისივე სრული ნაწერების ტომი პირველი, თ ე ი მ ო ურ ა ზ ი ა ნ ი. ე გ. ნ ი ნ ო შ ვ ი ლ ი—თხზ. მესამე ტომი. გ. წ ე რ ე თ ე ლ ი—კიკოლიკა, ჩიკოლიკა და კუდაბზიკა. ც ა ხ ე ლ ი — ლექსების წიგნი. გ უ გ უ ნ ა ვ ა — თამარი-ნი. ა ნ ტ ო ნ ფ უ რ ცე ლ ა ძ ე—მაცი ხვიტია. მ ი ხ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი—არსენა მარაბდელი (მესამე გამოცემა). კ. გ ა მ ს ა ხ ურ დ ი ა- მთვარის მოტაცება. პ. ს ა მ ს ო ნ ი ძ ე—ლექსების წიგნი. გ. ც ე ც ხ ლ ა ძ ე—ლექსების წიგნი. ს შ ა ნ-შ ი ა შ ვ ი ლ ი—პიესები. ნ. ზ ო ძ ლ ე თ ე ლ ი—ლექსების წიგნი. ლ ი ს ა შ ვ ი ლ ი — ლექსების წიგნი. ბ ა ბ ი ლ ი ნ ა — ლექსების კრებული. გ. ბ უ ხ ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი-პიესები. ნ ა ხ ი ა ნ ი—პიესების კოებული. შ. რ ა დ ი ა ნ ი—კრიტიკული ხელილები.

ფედერაცია უშვებს „ვეფხის ტყაოსნის“ სახალხო გამოცემას. გარდა ამისა აკ კის საიუბილეოთ გამზადებულია გამოსაცემად ბაში აჩუკი ჯერ. ქიქოძის წინასიტყვაობით.

საინტერესო და ფართო გეგმები აქვთ დასახული ამ ორ გამომცე ლობას, მაგრამ ერთი უარყოფითი მომენტია აღსანიშნავი, არც სახელგამის, არც ფედერაციის ხელმძღვანელები არაფერს ფიქრობენ ხელოვნებისმცოდნეობისა და კრიტიკის დარგის წიგნების გამოცემის შესახებ.

ასეთი ხასიათის წიგნებიც უნდა მივაწოდოთ მკითხველებს.

მეორე საკითხი გეგმების დროზე შესრულება. ამ მხრივ ყოველთვის ჩამორჩენაა. ნუთუ ამ კვარტალშიც ასე განმეორდება.

ახალი ამბები

ჩერნიშევსკის საღამო

ბერიას სახელობის ებრაელთა კულტურის სახლთან არსებული ლიტსექცია 12 იანვარს მართავს ჩერნიშევსკის შემოქმედების საღამოს. მოხსენებას—„ჩერნიშევსკის ესთეტიკა“—წაიკითხავს პროფ. სერგო დანელია.

ალმანახი „მებრძოლი“

მწერალთა კავშირის თავდაცვითი სექცია სცემს ალმანახს „მებრძოლის“ სახელწოდებით. ალმან ხში მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო მწერლები. ახალგაზრდა მწერალთათვის ალმანახს ექნება სპეციალური განყოფილება.

„იაშარ“

დრამსექცია ქართულ ენაზე სცემს ახლახან გარდაცვლილ აზერბეიჯანელ დრამატურგის ჯაფარ ჯაბარლის პიესას „იაშარს“.

ახალი წიგნი

რედაქციამ მიიღო პოეტ კარლო კალაძის ლექსთა კრებული „მგზავრობის დროს თქმული ლექსები“. წიგნი მიძღვნილია აჭარისტანის საბჭოების მეთერთმეტე ყრილობისადმი. კრებულში მოთავსებულია თეოთმეტი ლექსი. წიგნი გამოცემულია აჭარისტანის სახელმწიფო გამოცემლობის მიერ საუკეთესო ქაღალდზე.

ლიტერატურული აჭარისტანი

იზრდება ქართული ლიტერატურული პრესა! მოგვემატა ძმვენიერად წამოწყებული, კულტურულად გამოცემული და საკმაო გემოვნებით შერჩეული მასალებით ახალი გაზეთი „ლიტერატურული აჭარისტანი“. ეს მეტად სასიხარულო მოვლენაა მით უფრო, რომ დღემდე ასეთი გაზეთი აჭარისტანში არ ყოფილა. გაზეთში მოცემულია მასალები აჭარისტანის კულტურული ცხოვრების შესახებ, მხატვრული ნაწარმოებნი აჭარისტანზე დაწერილი როგორც ადგილობრივი, ისე ცნობილი ქართველი მწერლების მიერ, სურათები ჩვენი მხატვრებისა, აჭარისტანის ცხოვრებიდან. ბავშთა შემოქმედების ოლიმპიადის მასალები, აჭარული ხალხური შემოქმედების ნიმუშები, წერილები და ა. შ. გაზეთს რედაქტორობს ამხ. გ. ს ულ უ ხ ი ა, მდივანი ნ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი, რედკოლეგიაში შედიან კიდევ: გ. გ ო რ გ ა-ძ ე, დ. დ უ მ ბ ა ძ ე, ე. ქ ა თ ა მ ა ძ ე, პ. ლ ო რ ი ა, ჯ. ნ ო ღ ა ი დ ე ლ ი, ლ. შ ა რ ა შ ი ძ ე. შემდეგი ნომრების გამოსვლისას ჩვენ მოვათავსებთ რეცენზიას ამ გაზეთის მუშაობაზე.

შიო მღვიმელის საღამო

ცნობილი საბავშო მწერალი ერთი წლის წინად გარდაიცვალა. წლის თავის აღსანიშნავად მწერალთა კავშირის ახალგაზრდობისა და საბავშო ლიტერატურის სექციის მიერ დეკემბრის დამლევს მწერალთა სასახლეში გამართულ



იქნა შიო მღვიმელის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამოს დაესწრენ: მწერალთა აქტივი, პედაგოგები და ბავშები.

შიო მღვიმელის შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ა კ. რ ე ხ ვ ი-ა შ ვ ი ლ მ ა. მოგონებებით გამოვიდენ გ ი ო რ გ ი ქ უ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ნ ი ნ ო ნ ა-კ ა შ ი ძ ე, ან. ღ ვ ი ნ ი ა შ ვ ი ლ ი, ი ო-ს ებ ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი და სხვ.

შიოს ლექსებს მღეროდენ, შიოს ლექსებს კითხულობდენ მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობები და მოწაფეები.

დარბაზში მოწყობილი იყო შიო მღვიმელის ნაწერებისა და სურათების გამოფენა.

„ჭიაკოკონა“

რაჟდენ გვეტაძის რომანი რუსულ ენაზე გამოსცა „ზაკნიგამ“. რომანი თარგმნილია სანდრო ყანჩელის მიერ.

ოლიმპიადა კლუბებში

საზამთრო არდადეგებთან დაკავშირებით მუშათა კლუბები ემზადებიან მოწაფეთა დღიური მომსახურებისათვის. გაშვებულ იქნება კინოფილმები, კონცერტები და წარმოდგენები. აღსანიშნავია, რომ განათლების განყოფილებებმა და კლუბებმა, როგორც იქნა, სერიოზული ყურადღება მიაქციეს ბავშთა ოლიმპიადას. არდადეგების განმავლობაში კლუბებში ჩატარებული იქნება საბავშო თვითმოქმედებითი საღამოები, რომლებზედაც მოსმენილ იქნება ოლიმპიადაში მონაწილე ბავშების მხატვრული ნიმუშები. საუკეთესო ნიმუშებისათვის ავტორები დაჯილდოებულ იქნებიან. მოწონებული მასალები გადმოეგზავნება „ლიტგაზეთს“ რედაქციას.

საბავშო უნივერსიტეტი

ა/კ. რკინის გზის ბავშთა მხატვრულად აღზრდის სახლთან ეწყობა საბავშო უნივერსიტეტი, სადაც იმეცადინებს 700-ბავში. უნივერსიტეტის მიზანია ბავშები დაუახლოოს მუსიკას, თეატრს და ლიტერატურას, პოპულალურ ენაზე გააცნოს მათ ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები.

ლექტორებათ მოწვეული არიან პროფესორები და საუკეთესო პედაგოგები.

აკაკის საუბილეო დღეები

ჩვენი გაზეთი აკაკის შესახებ

„ლიტგაზეთის“ რედაქცია კარგა ხანია შეუდგა აკაკი წერეთლის იუბილესადმი სამზადისს. მან შეუკვეთა საუკეთესო მწერლებს, კრიტიკოსებს და მეცნიერ მუშაკებს წერილები აკაკის შემოქმედების გარშემო. რედაქციას განზრახული აქვს თავის გაზეთის ფურცლებზე ფართოდ გააშუქოს აკაკი წერეთლის შემოქმედების საკითხები. წერილები სისტემატურად დაიბეჭდება. 6 თებერვლის ნომერი კი მთლიანად მიძღვნილი იქნება აკაკი წერეთლის შემოქმედებისადმი.

გარდა ამისა, "ლიტგაზეთის" გამომცემლობა სცემს აკაკის რჩეულ ლექსებს. კრებული გამოვა ი. გრიშაშვილის რედაქციით და კომენტარიებით.

აკაკის დაუბეჭდავი ნაწერები

სახელმწიფო მუზეუმმა დაამზადა გამოსაცემად აკაკი წერეთლის ჯერ გამოუქვეყნებელი ნაწერები.

კრებულში მოთავსებული იქნება ლექსები, პოემები, პიესები, აკაკის წერილები და მოგონებები აკაკიზე.

კრებული გამოვა იანვრის ბოლო რიცხვებში.

აკაკის კრებული

იუბილესთან დაკავშირებით სახელგამი სცემს აკაკის რჩეულ ნაწერების ერთტომეულს, რომელშიაც შევა 40-ე რჩეული ლექსი, პოემები:—ნათელა, გამზრდელი, ხოლერა, თორნიკე ერისთავი.

პროზა:—ეშმაკები, ბაშიაჩუკი და ნაკვესები. წიგნი გამოდის საუკეთესო ქაღალდზე. გარდა ამისა მასიურ ბიბლიოთეკის სერიაში გამოცემული იქნა აკაკის „ჩემი თავგადასავალი“ „გამზრდელი“ და კიდევ 5 სახელწოდების წიგნი.

როგორ ემზადებიან კლუბები

მიუხედავად იმისა, რომ საქ. პროფსაბჭოს კულტინსპექცია ჯერ არავითარ სამზადისს არ შედგომია აკაკის იუბილეს ჩასატარებლად: კლუბებმა უკვე დასახეს ღონისძიებები. ამ უდიდესი პოეტის საიუბილეო დღეები სურთ ჯეროვანად აღნიშნონ.

სტალინის სახ. კლუბი

იანვრის თვის განმავლობაში მიმაგრებულ წარმოებებში ჩატარებულ იქნება საუბრები აკაკის შემოქმედების გარშემო. მოწინავე წარმოებებში მოწყობილი იქნება აკაკის შემოქმედებითი საღამოები სათანადო გამოფენებით.

აკაკის შემოქმედების უფრო ღრმად შესწავლის მიზნით, კლუბებში ჩატარდება ლექციების სერია: აკაკის პოეზია, აკაკის პროზა, აკაკის იუმორი, აკაკის შემოქმედებითი მეთოდი და სხ.

საკლუბო ბიბლიოთეკა სცემს ბეჭდვითი პლაკატს, სადაც გაშუქებული იქნება პოეტის ცხოვრება და შემოქმედება. საიუბილეო დღეს გაიმართება საზეიმო სხდომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოროშილოვის სახ. კლუბი

წარმოებებში საუბრების ჩატარების გარდა, კლუბს განზრახული აქვს გამოსასვლელ დღეს უნივერსიტეტში აკაკის შემოქმედების—შესახებ ჩაატაროს ორი ლექცია. იანვრის თვის განმავ-



ლობაში მომაგრებულ წარმოება-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეთათვის გამართავს სპეციალური საღამოები.

გამოსასვლელ დღეებში მოეწყოს სპეციალური დილები მოზარდებისა და ბავშთათვის.

კლუბი სცემს ბეჭდვითს ცნობას აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, ასეთივე შინაარსით კლუბშივე მოეწყობა გამოფენა, რომელიც შემდეგ გადასროლილი იქნება წარმოება-დაწესებულებაში.

არაა საკმარისი

საქართველოს დიდი პოეტის, ბელეტრისტის, საზოგადო მოღვაწის აკაკი წერეთლის დაბადებიდან 95 წლის და გარდაცვალებიდან 20 წლის თავის აღსანიშვავად წარმოებული სამზადისი, რედაქციას მიაჩნია არა დამაკმაყოფილებლად.

განათლების კომისარიატმა უფრო მეტად უნდა იზრუნოს სკოლების, თეატრების და საქფილის სამზადისზე ამ საიუბილეო დღის აღსანიშვავად. თეატრებმა უნდა გამოყონ საუკეთესო მსახიობები შემოქმედებითი საღამოებზე მონაწილეობის მისაღებად. საქფილმა უნდა შეარჩიოს მუსიკალური ტექსტები, რომლებიც დაწერილია აკაკის სიტყვებზე და შექმნას შერეული ბრიგადები აკაკისადმი მიძღვნილ საღამოებზე მონაწილეობას მისაღებად.

სახკინმრეწვმა უნდა უზრუნველყოს მოკლეტირაჟიანი ფილმების დემონსტრაცია („აკაკის მოგზაურობა“ „აკაკის დასაფლავება“) და გადაიღოს საიუბელეო დღეებში სამზადისი კინო-ქრონიკისათვის.

კლუბებში ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული გრამაფონის ფირფიტები, რომელზედაც აღწესხულია აკაკის მიერ ლექსების კითხვა.

„ლიტგაზეთის“ უფყეგა

ქ. ტფილისის და ქ. ქუთაისის „სოიუზპეჩატის“ რაიბიუროებს

ხელისმომწერთა ზრდის გამო ა/წ.1-ლი თებერვლიდან გაზეთი საცალოდ გასაყიდი შეგიმცირდებათ.

შ ა ლ ვ ა ო ს ა ძ ე, გამომცემლობის რწმუნებული ზესტაფონის რაიონში, თებერვლის თვიდან კისრულობს ხელისმოწერით „ლიტერატურული გაზეთი“ გაავრცელოს 500 ცალი.

ი წ ვ ე ვ ს: ჭიათურის, ორჯონიკიძის, ჩხარის, სამტრედიის და წალენჯიხის რაიონის „სოიუზპეჩატის“ რაიბიუროს გამგეებს და ჩვენს რწმუნებულებს.

„ლიტგაზეთის“ ხელისმომწერთა საყურადღებოდ

გაზეთის დროულად ჩაუბარებლობის ან სრულიად მიუღებლობის ყოველ ცალკე შემთხვევის დროს, გამოგვიგზავნეთ გამომცემლობაში ადგილობრივი ორგანოების („სოიუზპეჩატის“, ფოსტის ან სხვა ორგანიზაციის) მიერ დადასტურებული ცნობა.

რედაქტორი: **პ ლ ა ტ ო ნ ქ ი ქ ო ძ ე** რედაქციის მდივანი: **ნ ი კ ო ლ ო ზ ჩ ა ჩ ა ვ ა**

სარედაქციო კოლეგიის წევრები: იოსებ გრიშაშვილი, შალვა დადიანი, დავით დემეტრაძე, პაოლო იაშვილი, ალიო მაშაშვილი, ნიკოლოზ მიწიშვილი, ბესო ჟღენტი, პლატონ ქიქოძე, სიმონ ჩიქოვანი და პანტელეიმონ ჩხიკვაძე.

გამომცემელი: „ლიტგაზეთის“ გამომცემლობა

რედაქცია და გამომცემლობა: —მაჩაბლის ქ. № 13. ტელ. 3-47-10.

მთავლიტი № 7203. ცეკავშირის სტამბა, პუშკინის ქუჩა № 3. დაკვეთის № 12.